

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

პეცვიტათ აბორი, ფილმი იწყება!

A6



ღია მუქარა

ინციდენტებმა კონფლიქტის ზონაში წინასაომარი სახე მიიღო. რუსეთის სამხედრო უწყება საქართველოს ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებს და დაუფარავად ემუქრება. რუსულ ბრალდებებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უარყოფს. კონფლიქტის ზონაში მომხდარი რამდენიმე ინციდენტის შემდეგ ექსპერტები კვლავ ომის საფრთხეზე ალაპარაკდნენ. თუმცა, თბილისში ახალი ომის დაწყების შესაძლებლობას სერიოზულად არ აღიქვამენ.

დიმიტრი ავალიანი

ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს 1 აგვისტოს ქართული

მხრიდან ნაღმმტყორცნიდან ცეცხლი გაიხსნა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების საგუშაგოს მიმართულებით, თვითგამოცხადებული რესპუბ-

ლიკის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა. ცხინვალში აცხადებენ, რომ ქალაქი 29 ივლისიდან 1 აგვისტომდე ნაღმმტყორცნიდან და ყუმბარმტყორცნიდან არაერთხელ დაიბომბა.

ქართული მხარე ამ განცხადებებს უარყოფს. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქართული მხრიდან ცხინვალისთვის ცეცხ-

ლი არავის გაუხსნია. 29 ივლისს კი სოფელ ნიქოზს ცეცხლი ცხინვალის მხრიდან გაუხსნეს. სხვა ინციდენტები კონფლიქტის ზონაში არ დაფიქსირებულა.

ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიამ ინციდენტების შესახებ გამოთქმული ბრალდებების გამო შემოფოთება გამოხატა.

ბაზრძალაბა A2 გვირგვინი

ყანია დახიჯიძე ბამირრა

A7



ჰოლანდია საქართველოსთან იუბილე მოიხსოვრება

A8



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ნოდარ ლაღარი

ძალიან მიყვარს ვაგნერი... არა, ვერდი და პუჩინი კიდევ უფრო მეტად მიყვარს, მაგრამ, რაც ვაგნერზე ვთქვი, ისიც არაა ტყუილი. ერთი სიტყვით, ვაგნერი მართლაც მიყვარს და პირადად მე ხელს არ მიშლის ამ კომპოზიტორის კულტურული როლი მესამე რაიხის ისტორიაში, ან თუნდაც ის, რომ ვაგნერის მუსიკა ისმოდა აუშვიცის რეპროდუქტორებიდან. ჩემი აზრით, ვერც ვაგნერი "აკეთილშობილებს" საშინელებას და ვერც აუშვიცი "ადანაშაულებს" მუსიკას — მით უმეტეს, იმ მუსიკას, რომელიც მანამდე შეითხზა.

დიახ, მე მიყვარს ვაგნერი. მაგრამ არის ქვეყანა, სადაც ამ ჩემს სიყვარულზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა. უფრო მეტიც...

2000 წელს, იტალიაში ყოფნისას, რადიოთი მოვისმინე, რომ ისრაელში ჩასულმა გერმანიის წარმომადგენელმა თავის მშობლიურ ენაზე წარმოთქვა სიტყვა. ეს ფაქტი მოცემული იყო როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, რაღაც გარდატეხის მაჩვენებელი: პირველად ისრაელის სახელმწიფოს დაარსებიდან ოფიციალურ დონეზე აუღერდა გერმანული ენა. თურმე არა მხოლოდ ვაგნერის მუსიკა, არამედ მისი ენაც კი ერთგვარი ტაბუ ყოფილა ისრაელში.

რას ნიშნავს ეს? თავისუფლების ნაკლებობას?

არა მგონია, ვინმემ სერიოზულად დაიწყოს იმის მტკიცება, რომ

ისრაელში გერმანულის მცოდნე სანთლით საძებარია, ან, რომ მოსადის თანამშრომლები აყურადებენ მოქალაქეთა ფანჯრებთან, "ტანპოზერის" უვერტიურა ხომ არ ისმისო. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი: არსებობს ადამიანების პირადი თავისუფლება და არსებობს სახელმწიფოს, თუ გნებავთ, მთელი ერის სიმბოლური შესტები, რომლითაც ის (თუნდაც პლანეტის სხვა კუნჭულში ეს შესტები სასაცილოდაც არ ეყოს) გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ისტორიული და პოლიტიკური რეალობისადმი და თავის არსებით არჩევანს. რაც უფრო გამოყოფილია ერთმანეთისაგან და დაცულია გარედან ჩარევისაგან ეს ორი სფერო — პირადი და საჯარო — მით უფრო განვითარებული ექვმის საზოგადოებას.

დიახ, ვაგნერის მუსიკა და ნაციონლების მყვარე ბრძანებები ებრაელი ერის ისტორიაა — მათი გარემომცველი სინამდვილიდან ამოშანთვა კი სულაც არ ნიშნავს ისტორიის დაგინყებას: ეს წარსულის შენახვის, მისი სამარადისო მნიშვნელობის დაკანონების მწვავე და ეფექტური ხერხია. მოსოპოპო ყოველთვის როდი გულისხმობს დაგინყებას — ზოგჯერ ეს ყოველნაირი გახსენების საშუალებაა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ საძულველი, შემანუხებელი სინამდვილის მაგალითებით აღსავსეა არემარე...

ბაზრძალაბა A3 გვირგვინი



ეკლესიის ნანგრევებზე

დავით ქართველიშვილი

მეზუთე კლასში ვიყავი, როცა სკოლაში მივიტანე ჩემი საყვარელი წიგნი "ძველი საბერძნეთის მითები და ლეგენდები", წარმტაცი ისტორიებითა და საუცხოო ილუსტრაციებით. წიგნმა თანაკლასელებს შორის ფურორი მოახდინა და სასწავლო ნაწილის გამგის ყურადღებაც მიიპყრო. მას შემდეგ მე ეს წიგნი არ მინახავს. რა უნდა მექნა? - ხმა არ ამოვიღია და არც მითხოვია წიგნის დაბრუნება. ასე რომ არ მოვქეულებიყავი, "ძველი საბერძნეთის ლეგენდები" ჩემთან

დარჩებოდა, ხოლო მითი "სასწავლო ნაწილის გამგის არაკეთილსინდისიერებაზე" წარმატებით იქნებოდა გაქარწყლებული.

ცხოვრება კი გრძელდებოდა და მთელი ამ წლების განმავლობაში მითებითა და ლეგენდებით ივსებოდა. ამ მხრივ, არც ჩვენი თანამედროვეობა წარმოადგენს გამონაკლისს. მინდა შემოგთავაზოთ დღევანდელი მითებიდან ერთ-ერთი - დამერწმუნეთ, ბავშვობისგან განსხვავებით, ამჯერად გაჩუმებას არ ვაპირებ და შევეცდები მაქსიმალურ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობითა და მინი-

მალური სუბექტივიზმით გავაქარწყლო ეს მითი.

უკვე რამდენიმე წელია, რაც მოქმედი ხელისუფლების მონინალმდეგეები საქართველოში, ბრალს სდებენ მას მკრეხელურ დანაშაულში და იეზუიტის მანტიაში გამოხვეულები, მოუწოდებენ ამ ხელისუფლების ნიუ-ინკვიზიციის კოცონზე დანვას. რატომ? რისთვის? **თურმე ეკლესიების დანგრევისთვის!** გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ფორმულირების მრავლობით ფორმას - ეკლესიების! ეს თემა ჩემთვის პიროვნულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ავად

თუ კარგად, აგერ უკვე 13 წელია ვცდილობ ეკლესიურად ვიცხოვრო და წარმატებით (ჯერჯერობით ასე) ვუთავსებ სულიერ ცხოვრებას და სამსახურს და პარალელურად ყურადღებით ვადევნებ თვალს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას. თავისთავად, სწორედ მძიმე ბრალდებები ხელისუფლების მისამართით გახდა ჩემი კერძო გამოძიების საგანი, რაც შესაძლებელი გახდა ჩემი მეგობრების დახმარებითა და იმ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, რაც მე მოვიპოვე.

ბაზრძალაბა A4 გვირგვინი

კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება

მართლმადიდებელი ეკლესია 2 აგვისტოს წმინდა ელია წინასწარმეტყველის და წმინდა ილია მართლის ხსენების დღეს აღნიშნავს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ერს ილიაობა მიულოცა. როგორც პატრიარქმა გუშინ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა, ილიაობა ქართველთა დღესასწაულია, წმინდა ელია წინასწარმეტყველს კი საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სიტყვა ელია ნიშნავს ღვთის ძალას. მოგვმადლე ძალა ღვთისა, სულიერი და ფიზიკური ძალა, - უსურვა პატრიარქმა ქართველ ერს და აღნიშნა, რომ წმინდა ილია მართლისა და წმინდა ელია წინასწარმეტყველის ლოცვით საქართველო დამზღვედა და გამოთლიანდება.

პატრიარქმა ასევე ისაუბრა საზღვარგარეთ ჩატარებული მკურნალობის შესახებ. უწმინდესმა ბრძანა, რომ ღვთის მადლით საქართველოში ცოცხალი დაბრუნდა და ქართველ ერს ლოცვისთვის მადლობა გადაუხადა.

წმინდა ელია წინასწარმეტყველი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მფარველია, ამიტომ 2 აგვისტო ილია II-ის ანგელოზის დღეა. **ინტერპრესნიუსი**

პრეზიდენტი სტუმრად მალაღმთიან აჭარაში

საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის მალაღმთიანი რეგიონის მოსახლეობას შუამთობა მიულოცა. სახალხო დღესასწაულს მიხეილ სააკაშვილი კურორტ ბეშუმში დაენრო. დღესასწაული აქ ყოველწლიურად, აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას აღინიშნება. იმართება კონცერტები, სახალხო კონკურსები. ახალგაზრდები ტრადიციულად ამ დღეს ამთხვევენ ქორწილსაც. გუშინ აქ ორი წყვილი შეუღლდა. ერთ-ერთი პირველი მილოცვა მათ პრეზიდენტისგან მიიღეს.

ბეშუმში ყოფნის დროს მიხეილ სააკაშვილი ადგილობრივ მოსახლეობას რეგიონში ბუნერივი აირის შეყვანას დაჰპირდა. მისივე თქმით, ბეშუმს საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს, რათა იგი მომავალში მალაღმთის სამთო კურორტად იქცეს. **ტელეკომპანია რუსთავი 2**

რუსები "საზღვრის" გადმონეწვას ცდილობენ

რუსი ოკუპანტებში შიდა ქართლში, ქართულ სოფელ ქვეში საგუშაგოს გახსნასა და ე.წ. საზღვრის კიდე უფრო გადმონეწვას გეგმავენ. გუშინ, გვიან ღამით, რუსები სოფელში ჩავიდნენ და მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყეს. ახლად გავლებული ე.წ. საზღვის მეორე მხარეს მოსახლეობის მიწის ნაკვეთები და ერთ-ერთი მოსახლის ვახტანგ მეღაძის ოჯახი დარჩა.

მოსახლეობა შიშობს, რომ საგუშაგოს გახსნის შემდეგ მათ სოფლის დატოვება მოუწევთ. **ჯი-ეიჩენი**

"სასაზღვრო" კონტროლი მკაცრდება

გალის რაიონის მოსახლეობა ზუგდიდის რაიონში გადასვლას ახლა ხურჩის საზღვრიდანაც ვეღარ ახერხებს. უკვე ორი დღეა, ხურჩის საზღვარზე ტრანსპორტის გადაადგილება პარალიზებულია. "საზღვრის გადაკვეთისთვის აფხაზი სეპარატისტების მიერ დაწესებული გადასახადი 5-ლარამდე გაიზარდა, ზოგ სოფლებში 10-15 ლარსაც შეადგენს, თუმცა ეს საზღვრის გადაკვეთას ვერ უზრუნველყოფს, რადგან თუ საზღვარზე რუსი მესაზღვრეები დაგვხვდნენ, ისინი გადასვლის უფლებას არ მოგვცემენ. ამის გამო, გარკვეული სოფლებიდან ტრანსპორტმა მოძრაობა შეწყვიტა, მოსახლეობა ცენტრალური ენგურის ხიდიტ გადასვლას ვერ ახერხებს, ამიტომ ერთადერთი გზა, რაც დაგვარჩენია, ენგურის წყალზე გადასვლაა, თანაც შემოწმდება, რადგან ამის წინააღმდეგ ოკუპანტებმა გარკვეული ჯარიმები დაანესეს," - განუცხადა "პირველს" ინფორმირებულმა წყარომ. **პირველი**

პირველი გვირგვინი

როგორც მისიის განცხადებაშია აღნიშნული, ევროპელ დამკვირვებელთა პატრულმა ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვერ აღმოაჩინა რაიმე მტკიცებულება ცხინვალის ან მისი შემოგარენის მიმართულებით ცეცხლის გახსნის შესახებ.

სიტუაციის უფრო სრულყოფილად შესაფასებლად ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიას უნდა ჰქონდეს მუშაობის შესაძლებლობა რუსული და ოსური ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, - აღნიშნულია განცხადებაში.

ევროკავშირის მისიამ ყველა მხარეს **განცხადებებსა და მოქმედებებში თავშეკავებისკენ** მოუწოდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საქართველოს მიმართ დაუფარავი მუქარით გამოვიდა. უწყება აცხადებს, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ქართულმა მხარემ ცეცხლი გაუხსნა დასახლებულ პუნქტებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ანალოგიური სცენარით განვითარდა მოვლენები 2008 წლის აგვისტოში, რასაც ქართული მხარის აგრესია მოჰყვა, - ნათქვამია სამხედრო უწყების განცხადებაში.

შემდგომი პროვოკაციების შემთხვევაში რუსეთის თავდაცვის სამინისტრო იტოვებს უფლებას, გამოიყენოს ყველა არსებული ძალა და საშუალება სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისა და რუსი სამხედროების დასაცავად, - იმუქრება რუსული სამხედრო უწყება.

ღია მუქარა

ამ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა, რომელმაც ქართული მხარის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს დეზინფორმაცია უწოდა. საგარეო უწყება კატეგორიულად გამოხატული მხარის მილიტარისტულ განცხადებებს, **რომელთა მიზანსაც ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია და მოვლენათა საკმაოდ საშიფრით სცენარით წარმართვა წარმოადგენს.**

ოფიციალური თბილისი აღნიშნავს, რომ ამით მოსკოვი ცდილობს ყურადღების გადატანას იმ პროვოკაციული ხასიათის ინციდენტისგან, რომელიც ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში სწორედ მის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე განხორციელდა და რომელზეც მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება.

სამინისტრო მიიჩნევს, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და ზოგიერთი სამხედრო მაღალჩინოსნის მიერ გაჩაღებული მილიტარისტული რიტორიკა, **"თვალნათლივ წარმოაჩენს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის სახიფათო გეგმებს, რაც ადასტურებს ქართული მხარის მიერ არაერთხელ გაუღებულ პოზიციას იმის შესახებ, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების წყაროს სწორედ რუსეთი წარმოადგენს."**

საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს რუსული მხარის მილიტარისტულ მონოდეტებს.

"შექმნილი დაძაბული ვითარების ფონზე კიდევ უფრო აქტუალური ხდება კონსოლიდირებული ძალების მიერ საქართველოში დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად," - აცხადებს საგარეო უწყება.

რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი მიიჩნევს, რომ საქართველოს წინააღმდეგ ახალი რუსული აგრესიის ალბათობა საკმაოდ მაღალია.

კოკოითის განცხადებები **სამხრეთ ოსეთისთვის თითქოს მისი ისტორიული მიწების დაბრუნების შესახებ და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მისიერი რეაგირება მოწოდებს, რომ უახლოეს დღეებში საქმე შეიძლება ომამდე და ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებამდე მივიდეს. ომის დაწყების ალბათობა საკმაოდ მაღალია, არანაკლებ 80 პროცენტისა, რადგან რუსმა სამხედროებმა კარგად იციან, რომ ომის დასაწყებად აგვისტო საუკეთესო თვეა, სექტემბერში უკვე გვიან იქნება,** - განაცხადა პაველ ფელგენგაუერმა სააგენტო ინტერპრესნიუსთან საუბრისას.

თუმცა, თბილისში რუს ექსპერტს არ ეთანხმებიან. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის განცხადებით, **"ფელგენგაუერის საშინელებათა სერიალს უკვე შევჩვიეთ. თეორიულად, რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ამის ალბათობა ნაკლებია,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა სააგენტო "ჯი-ეიჩენთან" საუბარში.

რაც შეეხება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებას,

შუალედური არჩევნები, შესაძლოა, გადაიდოს

პარიკო თევზაძე

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, კერძოდ ქრისტიან-დემოკრატები, შუალედური არჩევნების მომავალი წლის გაზაფხულისთვის გადაეადებას ითხოვენ. **ფრაქციის წევრთა განმარტებით, დღევანდელ საარჩევნო გარემოში ნებისმიერი არჩევნები აზრს კარგავს. აღნიშნულ საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობის პოზიცია ვერაფერობით უცნობია.**

შუალედური არჩევნები 27 სექტემბერს ჩუღურეთის, ოზურგეთისა და გურჯაანის საარჩევნო ოლქებში უნდა გაიმართოს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, დღემდე რეგისტრაცია 11-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ გაიარა. ესენი არიან: კონსერვატიული პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ჩვენ თვითონ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია, ჩვენი ქვეყანა, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სამართლიანი საქართველოსთვის და

საქართველოს დემოკრატიული პარტია". აღნიშნულმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა კანდიდატები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 28 აგვისტომდე უნდა წარადგინონ.

არასაპარლამენტო ოპოზიციის უმეტესობა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს. კოლეგებისგან განსხვავებული გზა აირჩიეს ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის და კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობას სპეციფიკური მიზეზით ხსნიან. პარტიის ლიდერ კახა კუკავას განმარტებით, მათი მიზანია არა დეპუტატის მანდატის მოპოვება, არამედ საარჩევნო სუბიექტებისთვის გამოყოფილი საეთერო დროით სარგებლობა.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი (ალიანსი საქართველოსთვის; საქართველო-თავისუფალი დემოკრატები), რომელიც შუალედურ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს, განმარტავს, რომ აღნიშნულ საარჩევნო გარემოში არჩევნები აზრს კარგავს.

შეცვლილან თუ არა ოპოზიციური პოლიტიკური ძალები თავიანთ გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნები გაზაფხულისთვის გადაიდება და,

რაც მთავარია, დროის ამ პერიოდში საარჩევნო გარემო რეალურად შეიცვლება?

როგორც შემარჯვენების ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყვიამ 24 საათს განუცხადა, ისინი იმ შემთხვევაში მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, თუ გაზაფხულამდე რეალურად დემოკრატიული და თავისუფალი საარჩევნო გარემო ჩამოყალიბდება. **ხელისუფლების ფასადურ ცვლილებებს ჩვენ არ ვცნობთ,** - დასძინა ნაჭყვიამ.

ამ თემაზე ჩვენთან საუბრისას ირაკლი ალასანიას პარტიის საქართველო-თავისუფალი დემოკრატიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა: **უმჯობესი იქნება, თუ გაზაფხულზე ვადადელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, რაც შუალედური არჩევნების საჭიროებას ავტომატურად მოხსნის.**

ეროვნული ფორუმი და ლეიბორისტული პარტია ვადადელ არჩევნებს არც ერთ შემთხვევაში არ ცნობენ. ლეიბორისტთა განცხადებით, მათთვის უმთავრესია არსებული რეჟიმის შეცვლა. იგივე პოზიციას იზიარებენ ფორუმელებიც.

ჩვენ ვითხოვთ ვადადელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს. სამი კაცის დამატება-არდამატებით ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. ამიტომ

დებას, იაკობაშვილის თქმით, "ამგვარი განცხადებების კეთებას ურჩევნიათ ის უფლება გამოიყენონ, რომ მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორია დატოვონ. ამგვარი განცხადებები მათი იქ ყოფნის გამართლების მცდელობაა. ამით რუსეთი ცდილობს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნა გაამართლოს."

რუსეთის განცხადებებში არაფერი ახალი არ არის, - აღნიშნა, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ. **"ჩვენ ისედაც კარგად ვიცით, რომ ისინი ისედაც ყველაფრის უფლებას აძლევენ თავს მათ მიერ ოკუპირებულ ჩვენს ტერიტორიაზე,"** - აღნიშნა დეპუტატმა.

მისივე თქმით, **"ეს არის მუქარისა და შანტაჟის გაგრძელების პოლიტიკა, ხლო ჩვენი სახელმწიფოს მიზანი სწორედ ამგვარი რამის შეჩერება და ჩვენი ტერიტორიებიდან მათი განდევნაა,"** - აცხადებს თარგამაძე.

ახალი ომის საფრთხეზე საუბრისას თარგამაძემ აღნიშნა, რომ **"დღეს რუსეთის მხრიდან რაიმე უფრო საფრთხის შემცველი მოქმედებების ალბათობა დაბალია, ვიდრე აქამდე იყო."**

"თუმცა იმის ბოლომდე გათვლა, თუ რას მოიმოქმედებს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ, შეუძლებელია," - აღნიშნა თარგამაძემ.

რამოკვარსხლბეკდი, სოსლო!!

პირველი გვერდიდან


ერთი სიტყვით, გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟზე მოგახსენებთ. მას შემდეგ, რაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა (მასში მეც შედივარ) მოითხოვა ძეგლის ცენტრალური მოედნიდან მოხსნა და მისი მუზეუმში გადატანა, ამის გარშემო დისკუსიამ კვლავ გამოიწვია, სამწუხაროდ, მხოლოდ სეზონური გრიპის ინტენსივობითა და ძველისძველი არგუმენტებით. არგუმენტებიდან კი მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი. მათი თანმიმდევრობა არ იქნება განპირობებული არც სინამდისითა და არც მნიშვნელობით — უბრალოდ, როგორც გამახსენდება...

1. ტურისტების სატყუარა. მართალია გითხრათ, არა მგონია, საქართველოში ტურისტთა ნაკადზე დიდ გავლენას ახდენდეს სტალინის ძეგლის გორის ცენტრალურ მოედანზე. თუმცა არგუმენტს, უფრო სწორად კი მისი წარმოშობის მოტივაციას ერთი პოზიტიური მომენტიც ახლავს: ბოლოს და ბოლოს, ძეგლის დემონტაჟი სტიმული იქნება სხვა ტურისტული რესურსების ამოქმედებისათვის, რითიც, როგორც ქართველი პოეტების შემოქმედებიდან შეიძლება დავასკვნათ, უხვად არის დაჯილდოებული ჩვენი კურთხეული მინა-წყალი. იმედია, ძეგლის კულტურულ ღირებულებაზე არ ვიკამათებთ — ესტეტიკური თვალსაზრისით ეს მხოლოდ "ერთი მსახიობის ფრიკ-შოუა" და მეტი არაფერი.

2. გორელებს არ ეკითხებით? — და რაო, გორელების შემოწირულობებით იყო ეს ძეგლი დადგმული? იმ ავადსახსენებელი "ბოროტების იმპერიის" საკუთრების მემკვიდრე დღეს საქართველოს სახელმწიფოა, ჰოდა, ვის ბალანსზეც არის დღეს ხსენებული მონუმენტი, ის სამინისტრო თუ უწყება გამოძვრეს ბუჩქიდან დღის სინათლეზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რათა კიდევ ერთხელ სიმბოლურად დამტკიცდეს ქართველი ერის არჩევანი, იყოს თავისუფალი და დამოუკიდებლად ისწრაფოს ხვადისკენ. თუ ვინმეს ექნება განსაკუთრებული სასურველ ადგილას თავიანთი სათაყვანებელი კერპი, ოღონდ არა ქალაქის მთავარ მოედანზე — იქ საჯარო და საერთო ინტერესების სივრცეა და არა პარტიკულარული ვნებების რეზერვუარი. ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მანერა და უბადრუკი იდეისადმი ერთგულება არ გამოდის მუქთად. დაუმტკიცონ ბეულადს ერთგულება — სათქმელად მაინც დარჩება...

თანაც არავითარი ერთგვაროვანი, ჰომოგენური მასა "გორელები" არ არსებობს — ასეთი რამ მხოლოდ "კავკასიისა" და "მაესტროს" ეთერში მოიპოვება, სადაც ცალკეული შეტყობინებების ავტორები რატომღაც "კოლექტიურ" ხელმოწერებს ურთავენ ხოლმე: "მთელი ქუთაისი შენთანაა", "კახეთი მხარს გიჭერს" და ა. შ.

აზრადაც არ მომივა, რომ ერთ ქალაქში, რაც არ უნდა "პატარა" იყოს, ყველა ერთნაირად აზროვნებს და ერთი, თუნდაც საგრძნობი საკითხის შესახებ ერთი და იგივე აზრი ექნება. ამიტომ



მაც გორელებისადმი აპელირება დემოგოგიაც არ არის — უბრალოდ "რიუა ბაზარია", თანაც შეურაცხყოფელი და ღირსების შემლახავი.

3. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ვერაფერი ნახეთ? რაო, პრობლემები ცოტაა ქვეყანაში? — აი, ეს არგუმენტი კი ნამდვილად იმსახურებს უფრო დაწვრილებით განხილვას.

იმისათვის, რომ გამოჩნდეს ამ შეკითხვის ფარული კავშირი საბჭოთა მენტალობის ღრმა პლასტებთან, გავიხსენოთ სხვა მტკიცებულება, რომელსაც ძალიან ხშირად იყენებენ ხოლმე სტალინისა და სტალინური პოლიტიკის გასამართლებლად: "სტალინმა თვალუწვდენელი ქვეყანა ხის კავიდან ატომურ ბომბამდე აიყვანა". ყოფით ვითარებაში ამ ფრაზას ხშირად მიანერენ უინსტონ ჩერჩილს, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცი.

სხვა სიტყვებით, საკითხი ეხება სტალინური პოლიტიკის ეფექტურობას. მაგრამ ეს პოლიტიკა დამყარებული იყო ძალიან მარტივ, უფრო სწორად, პრიმიტიულ მიდგომასთან, რომელიც შესამჩნევად ამართლებდა მხოლოდ სანაყის ეტაპზე. ასეთ მიდგომას შეიძლება ვუწოდოთ, მაგალითად, "ოჯახური". რას ნიშნავს ეს? — როცა ქვეყანა მართლაც ხის კავით ჩიჩქის მიწას, მის წინაშე რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა დგას. რომელი? — ახლა ჩვენთვის ამას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ პრობლემების რაოდენობა მცირეა.

არაა მეტალურგიული ქარხნები? — ავაშენოთ. არა გვაქვს ტრაქტორები? — გამოვუშვათ. სანაყის ეტაპზე ეს მართლაც შთამბეჭდავია (მილიონობით შენირულ ბიოგრაფიაზე ნუ გავამახვილებთ ყურადღებას — გრიშა ონიანი მაინც არ დაგვიჯერებს), მაგრამ მოგვიანებით, როცა ეკონომიკას მართლაც ეტყოდა განვითარება, პრობლემების რიცხვი კი არ კლებულობს, არამედ იზრდება. აი, მიდგომის ხერხი კი იგივე რჩება — ადმინისტრაციული-ბრძანებითი.

მაგრამ ადმინისტრაციული-ბრძანებითი სისტემის კოლექტიურ გონებაში (რეალურად ეს ერთი ადამიანის, თვით სტალინის

გონება იყო) ველარ ეტევა ყველა გადასანყვეტი საკითხი. რჩება ერთადერთი გზა: აილო წინა წლის მონაცემები და თითოეული პუნქტი რამდენიმე პროცენტით გაზარდო. რეალურად ასე ხდებოდა ეკონომიკის "დაგეგმარება"... ამიტომ, რომ ზრდის ტემპი მუდმივად ნელდებოდა, სანამ საბოლოოდ არ გაჩერდა; ამიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს გამოშვებული პროდუქციის მრავალფეროვნება აისახებოდა "ნოლშესტსა" და "ადინაცატს" შორის უმნიშვნელო განსხვავებებით, რაც ასევე სრულიად მიუღწეველი იქნებოდა იტალიური სავაჭრომიზრობი მრეწველობის გარეშე.

რატომ ვუწოდებ ამ სისტემას "ოჯახური"? გავიხსენოთ ვლადიმერ ულიანოვი-ლენინის ცნობილი გამონათქვამი: "ყველა დიასახლისს უნდა შეეძლოს სახელმწიფოს მართვა". ჰოდა, სტალინიც ასეთი დიასახლისი იყო. დავაზუსტოთ.

— ვიყიდოთ სარეცხი მანქანა "ბეკო", — ამბობს ქმარი.

— მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს სარეცხი მანქანა "ბეკო", — მიუგებს ცოლი და ეს სრულიად საკმარისი საბაზისა შემოთავაზებული მოქმედების უარსაყოფად. ან კიდევ:

— რა დროს ეგაა, ბავშვების სწავლის ქირაა გადასახდელი! — ერთი სიტყვით, ვარიანტების რაოდენობა ასეთ პრობლემაში საკმაოდ მცირეა და მათ შორის პრიორიტეტთა დადგენა — ადვილი.

მცირე ეკონომიკების სამართავად ამგვარი მიდგომა სრულიად შესაფერისია. მაგრამ, როცა საქმი სახელმწიფოს ეხება, მთ უმეტეს, დიდ სახელმწიფოს, აქ პრობლემების რაოდენობა და მნიშვნელოვნება ერთ ან თუნდაც რამდენიმე პარალელურ ვერტიკალზე ვერ დალაგდება.

სწორედ ამ შეზღუდულ სტალინურ მიდგომას გულისხმობს ზემოთ მოყვანილი არგუმენტი. ამ მიდგომამ შეაღწია ჩვენს ყოფით ცნობიერებაში და გვგონია, რომ პრობლემების დაყოფა და გადაწყვეტა ასე შეიძლება: ჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი, მერე შემდგომი... სინამდვილეში კი რა ხდება? — ერთი აზრით შთავონებული ადამიანები შეიკრიბნენ და წამოაყენეს მოთხოვნა: მათ არ

აქვთ პრეტენზია, რომ ეს მოთხოვნა ასახავს სახელმწიფოსათვის "ყველაზე მნიშვნელოვან" პრობლემას — ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს პრობლემა არსებითია. ვარდა ამისა, თითოეული მათგანი კიდევ სხვა ან სხვა რამდენიმე სფეროში საქმიანობს და იქ სხვა ადამიანებთან კავშირში სხვა პრობლემების გადასანყვეტად იღწვის.

სწორედ ამგვარ მრავალფეროვნებას ვერ სცნობს ზემოთ მოყვანილი და მესამე ნომრით აღნიშნული არგუმენტი. "ყველაზე მნიშვნელოვანი" პრობლემა, საერთოდ, ფიქციაა. რა თქმა უნდა, ზოგადად სახელმწიფოებრივი გადასახედიდან ასეთი პრობლემის დასახელებაც შეიძლება და მოცემულ ისტორიულ ვითარებაში ეს ჩვენი ქვეყნის სრული დოკუპაციაა. მაგრამ ამასაც ვერ მივუდგებით სტალინური საზომით: დოკუპაცია არ არის სარეცხი მანქანის ყიდვასავით ერთგვარადი და მარტივი ქმედება. ეს პროცესია, რომელიც მოთმინებითა და თანმიმდევრულად უნდა ჩატარდეს და რომლის გზაზე სტალინის ძეგლის დემონტაჟსაც უჭირავს თავისი გარკვეული და საგრძნობი ადგილი.

არის თუ არა ეს ადგილი გადაწყვეტი ან არსებითი? — სხენებული პრიმიტიული მიდგომა ვერ ასხვავებს აუცილებლისა და საკმარისის კატეგორიებს. მაგრამ მაინც შევეცდებით...

არსებობს ვითარება, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ერთიანი სივრცე, ერთი საყრდენი ნერტილი. აუცილებელი არაა, ეს საყრდენი რომელიმე აკადემიურ ჭეშმარიტებას ეყრდნობოდეს. დარწმუნებული ვარ, ისრაელის კნესეტში ბევრს არ ექნება ჩამოყალიბებული კომპეტენტური აზრი ვაგენრის მუსიკასა და გერმანულ ნაციზმს შორის კავშირზე, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს არაფერს შეცვლიდა. დიას, ისრაელში შეიძლება არსებობდეს რადიკალური ებრაული სექტა, რომელიც ეწინააღმდეგება ისრაელის სახელმწიფოს არსებობას, მაგრამ დაუშვებელია ვაგენრის საჯარო შესრულება — ერთიც და მეორეც განპირობებულია სახელმწიფოებრივი შეგნების სიმნივით.

საქართველოში ყველაფერი პირიქითაა: შესაძლებელია პარლამენტში 8 თუ 9 (რვა თუ ცხრა!!!) ხმა მოაგროვოს ომბუდსმენობის კანდიდატმა, რომელიც არათუ უზრუნველყოფს მისი, არამედ საეკლესიო და საერო სამართალს ურევს ერთმანეთში, მაგრამ ამას ყველა ჩუმად ყლაპავს; სამაგიეროდ, თუ საზოგადოების ერთმა ჯგუფმა მოითხოვა საქართველოს მტარვალის ძეგლის დემონტაჟი და მუზეუმში გადატანა, ეს უკვე სანაღმდეგოდ მომართული ხმათა წარმოუდგენელ პოლიფონიას ინვეცს.

ვილაცამ თქვა, სტალინის ძეგლის გადატანა საზოგადოებაში დაპირისპირებას შეიტანსო. შესაძლებელია, ასეც იყოს — მაგრამ ამ დაპირისპირებიდან გამოჩნდება, რამდენად ღირსნი ვართ გაცხადებული არჩევანისა. მთავარია, სახელმწიფოს საჭეთმპყრობელებს ყოფთ ჯიგარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან სტალინის ძეგლი გორში იგივეა, რაც პიტერის ძეგლი იერუსალიმში.

მინისტერა სამცხე-ჯავახეთში
სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მინისტერა მოხდა. როგორ სეისმოლოგიური მონიტორინგის ხელმძღვანელმა ზურაბ ჯავახიშვილმა განაცხადა, მისი ეპიცენტრი ახალქალაქიდან 12 კმ-ის მოშორებით დაფიქსირდა.
მინისტერა ბიძგების სიმძლავრემ 3-4 ბალი შეადგინა. ახალქალაქში ბიძგები ღამის 01:30 საათზე აღინიშნა. ჯავახიშვილის განცხადებით, ბიძგები მოსახლეობამ იგრძნო, თუმცა, საბედნიეროდ, მინისტერას წვრცევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. ინტერპრესნიუსი

"საზოგადოებრივი მაუწყებელი" ახალი ხელმძღვანელის მოლოდინშია

საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობის დაკავების მსურველთა განაცხადების წარდგენის ვადა დღეს, 18:00 საათზე იწურება. აღნიშნულ თანამდებობაზე განაცხადი ამ დროისთვის წარდგენილი აქვთ ლალი მოროშკინას, ბაჩუკი ბახტაძეს და მარინა სალუქვაძეს.

კონკურსი ორ ეტაპად გაიმართება. პირველ ეტაპზე განიხილება ყველა კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და ფარული კენჭისყრით მე-2 ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა გამოვლინდება. პირველი ტურის შედეგები 6 აგვისტოს გამოცხადდება, მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გასაუბრება კი 7 და 8 აგვისტოს გაიმართება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორობის კანდიდატი ასევე ფარული კენჭისყრით 10 აგვისტოს გამოვლინდება, თანამდებობაზე კი არა უგვიანეს 20 აგვისტოს დაინიშნება.

დღესვე გაიმართება საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სხდომა, რომელზეც მაუწყებლის გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოსავლენად კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციას დაამტკიცებენ. ინტერპრესნიუსი

შესაძლოა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს

ექსპეტი კონსტიტუციის საკითხებში ვახტანგ ხმაღაძე არ გამორიცხავს, რომ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ხელისუფლება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დაინიშნაზეც დაფიქრდეს. მისივე თქმით, ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ ჩატარდება თავად თვითმმართველობის არჩევნები, რადგან დღეს ქვეყანაში არსებული საარჩევნო სისტემა ყველაზე ნაკლებად დემოკრატიულ სისტემად არის მიჩნეული.

ცნობისათვის - პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, თვითმმართველობის არჩევნები მომავალი წლის 30 მაისს ჩატარდება. პირველი

ანტიკრიზისული საბჭოს სხდომა

დღეს პარლამენტში ანტიკრიზისული საბჭოს სხდომა გაიმართება, სადაც განხილვის მთავარი თემა დონორთა მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის საკითხები და რიგი სოციალური ინიციატივები იქნება. როგორც ანტიკრიზისული საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა აკაკი ფანჩულიძემ განაცხადა, შეხვედრაზე საბჭოს წევრები დონორთა მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის მონიტორინგის მიზნით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფების მუშაობის სქემას განიხილავენ და დაამტკიცებენ.

ასევე განხილვის თემა იქნება ქვემო ქართლის რეგიონში წყლის პრობლემები. ანტიკრიზისული საბჭო დეპუტატ ჯონდი ბალათურის სოციალური ინიციატივებზეც იმსჯელებს. კერძოდ, "ქართული დასის" ლიდერი კომუნალური გადასახადებისგან მოსახლეობის გათავისუფლებას ითხოვს და აცხადებს, ეს ერთნაირად უნდა შეეხოს როგორც ელექტროენერჯისა და გაზის, ასევე წყლისა და დასუფთავების გადასახადებს. ვარდა ამისა, ბალათურია გამოდის ინიციატივით, სამხედრო მოქმედებების დროს დაღუპულ მემორთა ოჯახებს მემორთა ხელფასები სრული განაკვეთით შეუნარჩუნდეთ, ხელო იმის მოხაწილეთა ხელფასი საშემოსავლო გადასახადისგან სრულად გათავისუფლდეს.

ბალათურია საბჭოს სხდომაზე კიდევ ერთ წინადადებას დააყენებს, რომელიც ვარკეთილის III პლატოს ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთათვის ბინების დაკანონებას ითვალისწინებს. პირველი

ეკლესიის ნანგრევებზე

პირველი გვირგვინი

პირველი ეპიზოდი, რომელიც შევიდა ოპოზიციის ბრალდებათა "ოქროს ფონდში", არის ბასილ მკალავიშვილისა და მისი მიმდევრების დაკავება, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, საეკლესიო განხეთქილებისათვის იქნა შეარსებული. ბასილ მკალავიშვილი ე.წ. "წმინდა კირიანეს ეპარქიის", ელადის მართლმადიდებელი ეკლესიიდან გამოყოფილი განმტოვების მიმდევარი გახლავთ. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ე.წ. ეკლესიას, რომელიც ლიად ებრძვის მართლმადიდებლობას თვით საბერძნეთშიც, წარმოადგენდნენ ოდიოზური ფიგურები ბასილ მკალავიშვილი და გიორგი ფუხაბევი (ფუხათე). ერთი თბილისში, მეორე კი ცხინვალში. ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ცხინვალში კიპრიანის პერსონასა და მოღვაწეობას უფრო დანერგვით, ახლა კი დავასრულოთ ეპიზოდი მკალავიშვილის დაპატიმრებასა და სამართალდამცავი ორგანიზაციების შექმნაზე სალოცავ სახლში - და არა ეკლესიაში, როგორც ამას ოპოზიცია, არა შეცდომით, არამედ შეგნებულად მოიხსენიებს. ჩვენ ყველას გვახსოვს კადრები, რომელიც გადაიცივდა პირდაპირი ეთერით: ძალოვანებმა ალყა შემოარტყეს სალოცავ სახლს, ჯერ ეცადნენ ჩაკეტილი კარის გაღებას, ხოლო შემდეგ კი კარზე საბარგო მანქანის დაჯახებით შეიჭრნენ შენობაში, რის შემდეგაც დააკავეს კონკრეტული პირები. რასაკვირველია, თავად ფორმამ შეჭრისა და დაკავებისა მას შემდეგ დიდ ნაწილში ბევრი კითხვა ნამოჭრა, ისევე როგორც საბაბმა ცრუ-მამაო ბასილის დაპატიმრებისა. მამაოსი, რომელმაც თავის თავზე აიღო სახელმწიფოს რეპრესიული ფუნქციების ნაწილი - თვითნებურად, ინკვიზიციურად უსწორდებოდა "რასელიტების" სექტის მიმდევრებს და მათ მიერ გასავრცელებლად შემოტანილი ლიტერატურას. მკალავიშვილი იყო მათთვის საბაჟო, პოლიცია, პროკურატურა და სასამართლოც. სწორედ ამ პროცესს მოულო ბოლო სახელმწიფომ, რომლის ზოგიერთ წარმომადგენელს არა თუ

მათ მიმართ სიმპატიები, არამედ ამ სექტის ასოცირებული წევრობაც კი დასწამეს. მე არ შევუდგები ამ მიზის გაქარწყლებას, მით უმეტეს, რომ ჩემზე უკეთ ეს საქართველოს პრეზიდენტმა შეძლო, რომელმაც, ლამის ძალის გამოყენებით, დაუბრუნა სიცოცხლე მძიმედ დაავადებულ 4 წლის პატარა გოგონას, რომლის სექტანტი მშობლები წინააღმდეგი იყვნენ, რომ ექიმებს ბავშვისათვის სისხლი გადაესხათ. მაშ ასე - იყო თუ არა ეკლესია დანგრეული ამ ეპიზოდში? - არავითარ შემთხვევაში. იყო თუ არა კანონიერი, ძალისმიერი შეჭრა სამლოცველო სახლში სექტანტებთან, რომლებიც თავიანთი ქმედებით, ამოვარდნენ საქართველოს სამართლებრივი სივრცეში? დიახ! გამაგრა თუ არა, ხელისუფლების მიერ მკალავიშვილის მიმართ განხორციელებულმა აქციამ საქართველოს საერთაშორისო იმიჯი, როგორც დემოკრატიის მშენებლობის გზაზე დამდგარი სახელმწიფოსა? უდაოდ! ამ ეპიზოდზე დავამთავრებდი ჩვენი პირველი "საბრალდებო" ეპიზოდის გარჩევას, მაგრამ არ შემძლია არ დაუბრუნდე ზემოთ ანონსირებულ, ქართული სახელმწიფოს, ქართველი ერის და ქართული მართლმადიდებლობის კიდევ ერთ გააფორმებულ და დაუნდობელ მტერს, რომლის "მუშაობის" შედეგი ასმაგად აჭარბებს ყველა ტოტალიტარული სექტის "ნამოქმედარს", ერთად აღებულს. ეს არის მამა ბასილი მკალავიშვილის კოლეგა და თანამოაზრე, ამჟამინდელი სამხრეთ ოსეთის ე.წ. ეპისკოპოსი, ე.წ. მამაო გიორგი ფუხათე...

არ მინდა მკითხველი დავამძიმო ბმულებით, რომლებიც გააცნობენ ამ ფსევდოკლირიკის ანტიქართულ, ანტიმართლმადიდებლურ და არაადამიანურ მოღვაწეობას, რადგან არსებობს უამრავი საძიებო რესურსი, რომელიც ამას ჩემზე უკეთ გააკეთებს. მე მხოლოდ მონაცემთა იმ არასრულ ნაწილს მოვიყვან, რომლებიც ასახავენ დამანგრეველი პროცესების კვალს 500-ზე მეტ ისტორიულ-არქიტექტურულსა და საკულტო-რელიგიურ ნაგებობებზე სამაჩაბლოში - საქართველოს ისტორიულ პროვინციაში. ყოველივე ეს კი ფუხათეს ლოც-

ვა-კურთხევითა და თანხმობით ხდებოდა. ამჯერად გართულებული სრული მონაცემების მოყვანა, ვინაიდან შეუძლებელია მონიტორინგის ჩატარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე როგორც ქართველი, ასევე უცხოელი დამკვირვებლების ძალისხმევით.

ჩემს მიერ ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ეყრდნობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებულ ინფორმაციას და ოფიციალურ წყაროებს, ასევე UNOSAT-ის მიერ მოპოვებულ სატელიტურ ფოტომასალებსა და რუქებს, რომლებიც განთავსებულია მის ვებ-საიტზე: www.unosat.org/shared/georgia/UNOSAT-Cultural-Monuments-Damages-v1.pdf.

ამ მონაცემების თანახმად, აგვისტოს ომის შემდეგ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე სრულად, ან ნაწილობრივ არის განადგურებული, დარბეული და დაზიანებული შემდეგი ქართული ძეგლები:

მთავარანგელოზის ეკლესია (XIX ს)
ეკლესია სოფელ ხეთში. იყო რესტავირებული. მძიმედ დაზიანდა ჭურვის ჩამოვლების შედეგად 12 აგვისტოს.

იკორთის ეკლესია (XII ს)
ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში. მასში განთავსებულია სამი ქართველი გმირის საფლავი.

ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი
სოფელ თამარაშენში, ცხინვალის ჩრდილოეთით. 10 აგვისტოს დაზიანების შედეგად მთლიანად განადგურდა.

გიორგი მაჩაბლის სასახლე (XVIII ს)
სოფელ ქურთაში, ცხინვალსა და ჯავას შორის. იქნა გაძარცვული და მიწასთან გასწორებული ბულდოზერით 13-14 აგვისტოს

ეპისკოპოსის სასახლე ნიქოში (X/XI სს)
გვიანი შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. იყო რესტავირებული. მნიშვნელოვნად დაზიანდა 9 აგვისტოს საჰაერო დაზიანების შედეგად განილი ცეცხლით.

სამონასტრო კომპლექსი სოფელ ნიქოში (VI-X სს)
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტო-

რული კომპლექსი, დაზიანებულია მძიმედ.

სვერის წმ. გიორგის ხის ეკლესია (XIX ს)
ხის არქიტექტურის ერთ-ერთი იშვიათი ნიმუში. დაიბომბა 10 აგვისტოს. ეკლესია მთლიანად დაინვა.

ქვერტის წმ. გიორგის ეკლესია (IX-X სს)
დაიბომბა 10 აგვისტოს. აგვისტოს ბოლოს ეკლესიის ტერიტორია დაინალმა.

ქსნის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი (ერისთავის სასახლე) ახალგორში
ამჟამად ოკუპირებულია სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული სეპარატისტების მიერ. არსებობს გაძარცვის საფრთხე.

დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი
გაძარცვულია, 10 აგვისტოს. ძეგლები, რომლების დაბომბვის ან ჭურვის ჩამოვლების ადგილიდან 100 მეტრის სიახლოვეს მდებარეობენ, სავარაუდოდ დაზიანებულია:

წმ. გიორგის ეკლესია სოფ. კეხვი (XVII ს), ნაწილობრივ დანგრეულია.

წმ. გიორგის ეკლესია სოფ. ქურთაში (IX ს), ნაწილობრივ დანგრეულია.

ციხე-სიმაგრე სოფ. აჩაბეთში. (XVI ს)

წმ. ნიკოლოზის ეკლესია სოფ. აჩაბეთში (XVIII ს), ნაწილობრივ დანგრეულია.

ესაა არასრული სია იმ ქმედებებისა, რაც მკალავიშვილის თანამოაზრეთა ეპარქიაში იქნა ჩადენილი ქართული სისხლით მორწყულ ისტორიულ სამაჩაბლოში.


ყველა ჩვენთაგანს კარგად ახსოვს ბუნდოვანი ისტორია ბათუმის მთაზე მშენებარე ეკლესიის დანგრევასთან დაკავშირებით, რომელსაც საძირკველიც ნაკურთხი ჰქონდა და კედლებიც ნაწილობრივ ამოყვანილი. ეს ის ადგილია, სადაც აჭარის ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლების თანხმობით, გეგმავდა დასვენებისა და კულტურის პარკის აშენებას, რომელსაც ქალაქთან ფუნიკულიორი დააკავშირებდა. გაუგებრობის მიზეზი გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საერო ხელისუფლების გეგმების შეუთანხმებლობა. ეკლესიამ თავისდაუნებურად დაარღვია ხელისუფ-

ლების თავდაპირველი გეგმები, რასაც მოჰყვა ზოგი ადგილობრივი ჩინოსანის მხრიდან ზედმეტად თავგადასხმული ქმედებები და ნაწილობრივ აშენებული ეკლესიის დემონტაჟი. ბუნებრივია, ამას მოჰყვა სკანდალი, ვიზიტები საპატრიარქოში. საბოლოო ჯამში, ორივე მხარე შეთანხმდა ყველასათვის მისაღებ კომპრომისულ გადაწყვეტილებაზე და დღეს ბათუმის მთას ამშვენებს დიდებული ტაძარი. ოდნავ მოგვიანებით, როგორც კეთილი ნების ყესტი, საქართველოს ხელისუფლებამ მართლმადიდებელ ეკლესიას უსასყიდლოდ გადასცა გამოთავისუფლებული ყოფილი რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაც...

ახლა კი ფინალური კითხვა ამ ეპიზოდთან დაკავშირებით: იყო თუ არა დაშვებული შეცდომა ხელისუფლების მხრიდან, თუნდაც გაუგებრობის შედეგად? რასაკვირველია! გახდა ეს ფაქტორი საბედისწერო, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიისათვის და სახელმწიფოსთან მის ურთიერთობაში? ღმერთმა დაგვიფაროს! სრულად გამოისყიდა თუ არა ხელისუფლებამ ეს უსიამოვნო ეპიზოდი? ნება მომეცით, გავცე დადებითი პასუხი. ალბათ, აქ შეიძლება დავსვათ ნურტილი "ეკლესიების დანგრევის" ისტორიაში, მით უმეტეს, რომ ოპოზიციას ამის დამადასტურებელი სხვა მაგალითი არც გააჩნია.

და ბოლოს, მინდა გადავიდე ჩემი თხრობის მესამე ნაწილზე, რომელსაც სამწუხაროდ, არა მარტო ოპოზიცია მორცხვად არიდებს თავს, არამედ ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგიური და ინფორმაციული პროპაგანდისტული საშუალებებიც. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო სტრუქტურების წვლილი ჩვენი უნიკალური მართლმადიდებლური ძეგლების აღდგენაში, რესტავირებასა და მშენებლობაში ბოლო 5 წლის განმავლობაში. მერწმუნეთ, **არც ერთი ოპოზიციონერი ამას თქვენ არ გეტყვით.**

ბაზრქაძე ა.ს. გვირგვინი



31.07.2009

კორ სტანდარტ ბანკი

ინოვაცია, როგორც ტრადიცია!

ამა წლის 31 ივლისს, კორ სტანდარტ ბანკის სათაო ოფისში გაიმართა ანაბრების აქციის პირველი გათამაშება. გათამაშებას ესწრებოდა ბანკის მენეჯმენტი, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, პრესა.

მეორე გათამაშების გამარჯვებული გახდა **ალექსანდრე ხახიაშვილი**, რომელმაც მიიღო სამოგზაურო ვაუჩერი, 2 ადამიანზე, ქვეყანას კი თავად აირჩევს.

„ანაბრების აქციის“ გათამაშების თარიღებია:

- პირველი გათამაშება 26.06.2009
- მეორე გათამაშება 31.07.2009
- მესამე გათამაშება 27.08.2009
- მეოთხე გათამაშება 25.09.2009
- მეხუთე გათამაშება 30.10.2009
- მეექვსე გათამაშება 27.11.2009

პაციენტების საყურადღებოდ!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს ექოსკოპიურ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება ექოსკოპიური გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.**

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 30 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42;



...კაპიური თქვენს სამყაროსთან

4 აქცია მაგნისთან

აირჩიე

მოკლე ჩართვა
ილაპარაკე წუთში 8 თეთრად, მაგნიტა, ბალზა და მაგნი ფიქსა 24 საათის განმავლობაში. აქსიაში 24-საათიანი ჩართვის ღირებულებაა 1 ლარი. ჩასართავად აკრიფე **★108 # OK** და მიუყვანი ინსტრუქციას.

ჩვენებურები
ილაპარაკე წუთში 15 თეთრად მაგნიტა, ბალზა, მაგნი ფიქსა, ასევე საქართველოს ნებისმიერ ქალაქში ქსელში და ისარგებლო მოხილვით ინტარნეტით - 1 მაგნიტი 15 თეთრი. აქსიაში 30-დღიანი ჩართვის ღირებულებაა 5 ლარი. ჩასართავად აკრიფე **★106 # OK** და მიუყვანი ინსტრუქციას.

ზვავი
ილაპარაკე მაგნიტა, ბალზა და მაგნი ფიქსა, დაგროვა დღეში 2 წუთი, ამის შიდაჯი კი, მთლიან დღის განმავლობაში, ისარგებო წუთში 10 თეთრად. აქსიაში 30-დღიანი ჩართვის ღირებულებაა 1 ლარი. ჩასართავად აკრიფე **★107 # OK** და მიუყვანი ინსტრუქციას.

1/2
ილაპარაკე წუთში 15 თეთრად საქართველოს ნებისმიერ მოხილვით თუ ქსელში ქსელში და ისარგებლო მოხილვით ინტარნეტით - 1 მაგნიტი 15 თეთრი. აქსიაში 30-დღიანი ჩართვის ღირებულებაა 15 ლარი. ჩასართავად აკრიფე **★109 # OK** და მიუყვანი ინსტრუქციას.

ინფორმაციისთვის მოხილვით და რააკით **1011**

ეკლესიის ნაწილები

80-4 ბავარიის

ასე რომ, გათავაზობთ, ჩემთან ერთად გადავერთოთ დესტრუქციული სფეროდან აღმშენებლობით სიბრტყეში, რომელმაც ბოლო 5 წლის განმავლობაში არნახულ მასშტაბებს მიაღწია თანამედროვე საქართველოში. ეს მით უმეტეს აღსანიშნავია და საკვირველიც კი არის ქვეყნისათვის, რომელმაც დააღწია რა თავი შევარდნადის ეპოქის მიძივ შედეგებს, შეუდგა თავისი ისტორიული და სახელმწიფოებრივი ვალის შესრულებას ჩვენი კულტურის, ისტორიისა და ქართული მართლმადიდებლობის წინაშე.

მეტი დამაჯერებლობისათვის მომიყავს იმ ძველთა ჩამონათვალი, რომლებიც აღდგენილ იქნა სახელმწიფოს მიერ 2004-2009 წლებში:

2004-2005 წელი

- მატანის ცხრაკარას" სამონასტრო კომპლექსის სამნავიანი ბაზილიკა V ს.
- ერედის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი X ს.
- ჯუმათის მთავარანგელოზების ეკლესიის სამრეკლო IX ს. (I ეტაპი)
- ხაშმის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია VIII-IX, XVII-XVIII სს.
- ბურღიანის უდაბნო-მონასტრის არქეოლოგიური გათხრები
- ქ. ონის სინაგოგა XIX ს.
- ტიმოთესუნის ღმრთისმშობლის ტაძარი XIII ს.
- წყლულეთის ივერიის ღმრთისმშობლის ეკლესია XII-XIII ს
- სოფ. პატარა გომარეთის ღმრთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია XI ს (I ეტაპი)
- სოფ. ყვარულწყალი, ფეოდალის საცხოვრებელი კომპლექსი სვეტები"
- ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია XIII ს.
- ყინწვისის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია XIII ს.
- წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტერი (I ეტაპი)
- სოფ. დოღლაური, დედოფლის გორა" (ძვ.წ. I და ახ.წ. I) - არქეოლოგიური სამუშაოები
- პირღებულის ღმრთისმშობლის ეკლესია XII-XIII სს.
- ნაქალაქარ ნეკრესში გამოვლენილი უძველესი ქრისტიანული ბაზილიკა
- ზარზმის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია XIV ს.
- უბისის სამონასტრო კომპლექსი IX, XIV, XVI სს. (I ეტაპი)
- ატენის სიონი VII ს. (კონსტრუქციული გამოკვლევებისა და მდგომარეობის სტაბილიზაციის ღონისძიებები)
- გონის წმ. გიორგის ეკლესია (I ეტაპი)
- ბაგრატიის ტაძარი (საინჟინრო, გეოლოგიური, სეისმომდებელი კვლევა)
- ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, სასახლე XVI ს.
- თმოგვის წმ. მარინეს სახელობის ეკლესია (I ეტაპი)
- ულუმბოს წმ. გიორგის სახელობის მონასტერი, არქეოლოგიური გათხრები
- შორეთის სამონასტრო კომპლექსი VI-XV სს
- ცაიშის მთავარი ტაძარი XIV ს
- ჯამბაკურ-ორბელიანის სასახლე
- ლიახვის ხეობის ციხესიმაგრეები (კეზვი, ყაულანთ ციხე, ზემო აზაბეთი)

2006 წელი

- ნალკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია X ს. მაჩხანის ეკლესია IX ს.
- ურავლის აგარას კომპლექსის სატრაპეზო და მთავარი ტაძარი X-XI, XIII
- მრავალძალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (საპროექტო სამუშაოები)
- ატენის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია XI ს.
- კვიპროსი, ლალიას ღმრთისმშობლის მონასტერი (ექსპედიციის I ეტაპი)
- ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესია XVII ს.
- ხიმშის წმ. გიორგის ეკლესია XI ს.
- ცაიშის სამონასტრო კომპლექსი 1777 წ.
- ჯუმათის მთავარანგელოზების ეკლესიის სამრეკლო (II ეტაპი)
- ერეკეთის ეკლესიის მოხატულობა XIII, XVII სს.
- შემოქმედის ეკლესიის მოხატულობა XVI-XVII სს.
- უდეს წმ. გიორგის ეკლესია XIII-XIV სს.
- ზარზმის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია XIV ს. (I ეტაპი)
- ფარაფრის ეკლესია X ს.
- ისტორიული ტონითის ხიდი XVI-XVII სს.
- ბარალეთის ღმრთისმშობლის ეკლესია XIII ს.
- თმოგვის წმ. მარინეს ეკლესია 1303 წ. (II ეტაპი)
- ტიმოთესუნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი XIII ს.
- პირღებულის ღმრთისმშობლის ეკლესია XII-XIII სს. (I ეტაპი)
- არჯევან-სარგანის ეკლესია XI ს.
- ქვიას ღმრთისმშობლის მონასტერს, ჭეჭეს" საყდარი VIII-IX ს.
- პატარა გომარეთი ღმრთისმშობლის ეკლესია (II ეტაპი)
- ტბისის ღმრთისმშობლის ეკლესია XIII-XIV
- გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი XIII ს.
- გრგეთის სამება XIV ს.
- ფალეთის ბაზილიკა IX-X სს.
- შიო მღვიმის ჯვართამაღლების ეკლესია XIII ს.
- ახატანის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია XIII-XIV სს.
- ვანის ღმრთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა XVI ს.
- თირის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია X ს.
- ნევის წმ. გიორგის ეკლესია X, XII, XVI
- ბაგრატიის ტაძარი (არქეოლოგიური კვლევა)
- უბისის სამონასტრო კომპლექსი, წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა (II ეტაპი)
- შიდა ქართლი, ცხივანლის რეგონი, ხეთის მთავარანგელოზის ეკლესია XIII-XIX სს.
- დიდი ლიახვის ხეობა, არქეოლოგიური გათხრები
- ატენის სიონი (სუბსტრუქციის გამოფიტული ნივთის აღდგენა)
- ყინცივისის მონასტრის მოხატულობა XIII ს.
- სახატბის კვირაცხოველის ეკლესია 1669 წელი
- ნრომის ტაძარი 626-634/35 წწ.
- ბონგეის იოანე მახარებლის ეკლესია XVII ს.
- სამთავისის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები V-VI სს. (I ეტაპი)
- სამთავისის კომპლექსის მცირე ეკლესია XVII ს.

- ხაშმის კანარეთის სამება VI ს.
- ხაშმის ღმრთისმშობლის ეკლესია და კოშკი XIII, XVI სს.
- ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, აბანო XVI-XVII სს. (I ეტაპი)
- პატარძელის კვირაცხოველის ეკლესია XVIII ს.
- ტბაანის წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტერი VI, VII-IX, X-XI სს (II ეტაპი)
- ბურღიანის უდაბნო მონასტერი VI ს.
- ავღლიანთ საყდარი XVIII ს.
- მანავის ღმრთისმშობლის ეკლესია 1794 წ.
- ნოქალაქევის ნაქალაქარი IV-VI სს, მუზუმიცა და საველე ლაბორატორიის რეაბილიტაცია
- ქ. თბილისი, სიონის ქ. N 8, საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი
- ქ. თბილისი, დ. ჭონქაძის ქ. N 11 მდებარე საცხოვრებელი სახლი
- გელათის ბიბლიის რესტავრაცია (I ეტაპი)

- თბილისის დიდუბის ღმრთისმშობლის შობის ეკლესია XIX ს.
- თბილისის კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები, V-VII, XII-XIII სს.
- თბილისის მამა დავითის ეკლესია, XIX ს.
- ნირქოლის მაცხოვრის ეკლესია, VIII ს.
- სამთავისის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები V-VI სს. (II ეტაპი)
- სამწერისის წმ. გიორგის ეკლესია და ციციშვილების საძვალე XVI ს.
- ნოსტეს სამების ეკლესია XVI-XVIII სს.
- თელოვანის ჯვარპატიოსანი" VIII-IX სს.
- ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, 1002 წ.
- სატივეს სამების ეკლესია, XIX ს.
- ხეთის ძელიცხოველის ეკლესია XIII-XIV სს.
- შიდა ქართლი, სამაჩაბლო ძარნემის წმ. გიორგის ეკლესია, VIII-IX სს.
- შიდა ქართლი, სამაჩაბლო, დისევის ძელიცხოველის ეკლესია, X ს.
- ნურულამების ეკლესია, XIII ს.
- გომარეთის შავსაყდრები" XII-XIII სს.
- რევაზაშენის ეკლესია, VIII-IX სს.
- ბედიანის წმ. გიორგის ეკლესია უმაღლო საყდარი" IX ს.
- აკაურთას ღმრთისმშობლის ეკლესია V-VI სს.
- ვაჩნაძიანის ამიდასტურის" ეკლესია VII ს.
- რუისპირის ყველაწმინდა VI-VII სს.
- ახალი შუამთის მონასტრის სამრეკლო XVI ს.
- შუამთის სკიტიები" XVI ს.
- ძველი შუამთის ბაზილიკა და გუმბათიანი ტაძარი V-VII სს.
- მელაანის ღმრთისმშობლის ეკლესია XVIII ს.
- ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, აბანო XVI ს. (II ეტაპი)
- ერელანთ საყდარი V-VI სს.
- სოფ. კალაურსა და ვაჩნაძიანის შორის მდებარე უცნობი კომპლექსი IX ს.
- თუშეთი, სოფლების დართლო, კვავლო და ზემო ომალოს კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება (I ეტაპი)
- დაბის წმ. გიორგის ეკლესია XIV ს.
- ზარზმის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია XIV ს.

- ლეპისის დარნები
- ტიმოთესუნის ეკლესია XIII ს.
- კვირიკეწმინდის (ფოთოლეთის) ეკლესია IX ს.
- ქორეთის ეკლესიის მოხატულობა XVI ს.
- ზარათის წმ. მონამეთა კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის მოხატულობა XIII ს.
- ბაგრატიის ტაძარი 1003 წ (არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება)
- ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები.
- ამაშუკეთის დედა ღმრთისა" ეკლესიის მოხატულობა, X ს.
- უბისის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა XIV ს.
- გონის წმ. გიორგის ეკლესია, X ს.
- ზუგდიდის რაიონის სოფ. კორცხელის ეკლესიასთან დამენყრილი ზონის საყრდენი კედლის მონეობის პროექტი (I ეტაპი)
- სეგის წმ. გიორგის ეკლესია, XIX ს.
- ხობის სამონასტრო კომპლექსი, XIII ს.
- მარტვილის ღმრთისმშობლის ეკლესია, VII-XIX სს.
- ახატანის მცირე ეკლესია, XVII-XVIII სს.
- ნიჩბისის ეკლესია, XVII-XVIII სს.
- კვიპროსის ლალიას ღმრთისმშობლის მონასტერი
- გელათის ბიბლიის რესტავრაცია (II ეტაპი)

- კარდენახის საბანძინდის" ეკლესია
- ახალი შუამთის ეკლესია
- სამთავისის სამრეკლო XVII ს.
- ხომათიანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია XVI-XVII სს.
- ავენისის წმ. გიორგის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკა VIII-IX სს.
- ჩხიკეთის სიონი XVII ს.
- წინწყაროს დედაღვთისა" IX ს.
- საუბედუროდ, ამ მომენტისათვის მე ჯერ ხელთ არა მაქვს მიმდინარე, 2009 წლის ზუსტი მონაცემები, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ გასული 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების მოცულობა დაარწმუნებს მოუკერძოებელ მკითხველს ოპოზიციური მითოლოგიის შემქმნელების აბსოლუტურ არაკეთილსინდისიერებაში, სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების, როგორც "ეკლესიათა მგერველების" ნარდგენაში.
- მთლიანი თანხა, რომელიც სახელმწიფომ დახარჯა ჩამოთვლილი სამუშაოების ჩატარებაზე 2004-2009 წწ. აღწევს 30 მილიონ ლარს. ამ თანხაში არ შედის ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდის შემოწირულობა, რომელიც ამავე პერიოდისათვის აღემატება 10 მილიონ ლარს. ამ სტატიაში მე ვერ გავაგრძელებ მენარმეებისა და სხვა კერძო პირების ჩამონათვალს, ვინც მიიღო მონაწილეობა ჩვენი წინაპრების მემკვიდრეობისა და მართლმადიდებლური კულტურის გადარჩენაში. მე შემოვიფარგლები მხოლოდ ე.წ. "ეკლესიათა დამანგრეველი" სახელმწიფოს წელიწადი, და მოკრძალებით შევასხენებ მითების შემთხვევებს, რომ ბიბლიის მეთავე მცნება ცილისწამების შესახებ, ჯერ არავის გაუუქმებია.
- მე არ მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ უშუალოდ დაეუკავშირო ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკას ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ბოლო 5 წლის ცხოვრებაში, როგორც ეპარქიების რაოდენობის ზრდა, თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა აღვნიშნო, რომ ბევრწილად, ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ხელშეწყობით, ჩვენი დღევანდელი ეპარქიული საზღვრები გაცდნენ სახელმწიფო საზღვრებს და მოიცავენ ძირძველ ქართულ პროვინციებს ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე. ყოველ კვირას, სულ რაღაც 150 დოლარად, ათობით ჩვენს მომლოცველს აქვს საშუალება ეწვიოს სამადლიან ვიზიტს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტაო-კლარჯეთის ეპარქიას. ჯერ კიდევ 5 წლის წინ, ქართული წირვების აღწერა ჩვენს ისტორიულ ტაძრებში თურქეთის ტერიტორიაზე, ჩვენი მომლოცველების მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა. რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფოს როლზე ძნელად მისაწვდომი ეპარქიებისა და მონასტრების საავტომობილო პარკის განახლებისა და სხვა ყოფითი სიძნელეების გადალახვის საქმეში. მოდი, ყველა ეს ფაქტი ჩავთვალოთ შემთხვევით თანხვედრად, რომელიც რატომღაც ემთხვევა "ეკლესიათა დამანგრეველების" ხელისუფლებაში ყოფნის ეპოქას.
- მე არ შემიძლია იმის განსჯა, შევძელი თუ არა ოპოზიციის მორიგი მითის გაქარწყლება - ამაზე მკითხველმა უნდა იმსჯელოს. საქართველოს პრეზიდენტს საკმარისად აქვს დამებუღი კონკრეტული შეცდომებიცა და ცოდვებიც. მაგრამ ზედმეტი ცოდვების დაუსაბუთებლად დაბრალება ცდება ეთიკის საზღვრებს. როდესაც 28 აპრილს, პატრიარქის მიერ გამოცხადებულ "მონაწილების დღეს", საქართველოს პრეზიდენტმა სამების საკათედროს ამბიონიდან საჯაროდ მოინანია საკუთარი ცოდვები და შეცდომები, და სთხოვა ქვეყანას პატიება, ბიბლიური იგავის თანახმად, მის მამხილებელს, საკუთარი სინდისის კარნახით, ქვეტი გვერდზე უნდა დაეყარათ. მაგრამ რადგანაც ქვების სროლა მათი საქულველი ადრესატის მისამართით მაინც გრძელდება, საკითხავია, ნუთუ ქვების მსროლელი თავად უცოდველი არაა?

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

Tucson

17 550

Santa Fe

24 500

Sonata

19 400

HYUNDAI i30

15 200

Drive your way

51 77 99

www.hyundai.ge



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ბიორბი ბრწყინვალის სკილენძის მონეტა

XIV ს-ის ილხანთა ირანში შემავალ სახელმწიფოებსა და მათ შორის საქართველოს ფულის მიმოქცევაში ვერცხლის მონეტას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, მაგრამ ფაქტობრივი მასალიდან ჩანს, რომ ანგარიშსწორება სკილენძის ფულითაც წარმოებდა. იმ ეპოქაში საქართველოს სამეფო ილხანთა ვასალად ითვლებოდა. ყაზან ყაენის (1295-1304) ფულადი რეფორმა (1296) ვერცხლის მონეტისათვის მკაცრად აკანონებს ერთ საერთო ტიპს. სკილენძის ფულზე კი კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი. სკილენძის მონეტების ემისია ილხანთა ირანში ხდებოდა არა ერთი დაკანონებული, არამედ სხვადასხვა სამონეტო ტიპის მიხედვით.

ყაზან ყაენის დროს და ოლჯათიუ სულთნის (1304-1317) მმართველების პირველ წლებში საქართველოში გამოშვებულ სკილენძის მონეტების ზედწერილებში ილხანის სახელის გვერდით ქართველ მეფეთა სახელიც არის აღნიშნული. XIV საუკუნის ათიანი წლების შემდეგ მდგომარეობა იცვლება, იწყება ცვლილებები ზედწერილებში, თბილისურ სკილენძზე ქართველ მეფეთა სახელები ქრება და ამიერიდან იგი იჭრება მხოლოდ ილხანების სახელით.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდში მუშაობისას, ჩვენი ყურადღება მიექცია ილხან აბუ-საიდის (1316-1336) სახელით მოჭრილი სკილენძის მონეტის ძალზე ორიგინალურმა ცალმა. მონეტა აღმოჩენილია დამანისში (წონა-1.7 გ., დიამეტრი-16/17მმ.1).

შუბლი: ნერტილოვან რკალში მოთავსებულია წრე, რომლის არე ვერტიკალური რელიეფური ხაზით ოთხ არათანაბრად ნაწილად არის გაყოფილი. ხაზის ზემოთ არაბულად: იჭედა. ხაზის ქვემოთ ზარაფხანის სახელი: თბილისი. ვერტიკალური ხაზის მარჯვნივ სამ სტრიქონზე არაბულად: აბუ-საიდი, განივად: მეფობა მისი. მარცხნივ დარჩენილ არეში, ქართული მხედრული ასო-ნიშანი "გ".

ზურგი: რეკუთხედში არაბულად რწმენის სუნიტური ფორმულა: "არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალაჰის."

თბილისური სკილენძის ამ მონეტის შუბლი მკვეთრად განსხვავებული სამონეტო ტიპია. ილხან აბუ-საიდის თანამედროვე ქართველი მეფე, გიორგი V ბრწყინვალედ ნოდებელი (1318-1346) იყო და საესებო დასაშვებია, რომ მონეტაზე მოთავსებული მხედრული ასო ნიშანი "გ" გიორგის სახელის ინიციალს წარმოადგენდა. ეს სამონეტო ტიპი არც ერთ ნუმისმატიკურ კატალოგში არა ჩანს და დღესდღეობით მხოლოდ თბილისის ზარაფხანისა და ცნობილი.

როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინვალის მეფობა საქართველოში აღინიშნა მთელი რიგი ღონისძიებებით. ხელსაყრელმა საშინაო და საგარეო პირობებმა ხელი შეუწყვეს დიდი სახელმწიფო მიზნის - ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენას. უცხოელთა დიპლომატიურ მიმონერაში გიორგი V მოხსენიებულია ღრმა პატივისცემითა და მაღალი ეპითეტებით. ასეთ ვითარებაში მონეტის ზედწერილი განსაკუთრებით საინტერესოა. იგი გამოდგება ახალ ცნობად საქართველოსა და ილხანთა ირანს შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა თვალსაჩინოებისათვის.

ცილა ლვაზაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

შენყვიტით ამბორი, ფილმი იწყება!

პედრო ალმოდოვარის ბოლო ნამუშევარი კინოთეატრ ამირანში გამოვიდა

ნა ვაკაძე

მათთვის, ვინც ქალაქიდან გასვლას ვერ ახერხებს და ამავდროულად კინოგნებობითაა შეპყრობილი, კინოთეატრმა ამირანმა მორიგი საჩუქარი მოუშვა - პედრო ალმოდოვარის ბოლო ნამუშევარი შეწყვეტილი ამბორი. ამ ფილმით ამირანი ასრულებს საპრემიერო სეზონს, რათა სექტემბრიდან ბარიკადებისგან გათავისუფლებულ რუსთაველთან ერთად კვლავ განაგრძოს მუშაობა. ახალი სეზონიდან კინომოყვარულებს არა ერთი სახილველი, მათ შორის ფილმები ორიგინალ ენაზე, ქართული სუბტიტრების თანხლებით, რაც ნამდვილ კინოგურმანებს უკეთესად შეაგრძნობინებს კინოს გემოს.

რაც შეეხება ალმოდოვარის ფილმს, ვინაიდან ეს რეჟისორი ქართველ მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს და მისი კინოსადმი სიყვარული ერთგვარ ვალდებულებასაც წარმოადგენს, ამირანს მაყურებელი არ მოაკლდება (თუნდაც ზაფხულის ყველაზე დასასვენებელ სეზონში). მით უმეტეს, რომ ამ ფილმში ყველაფერია, რაც ალმოდოვარის კინოების მოყვარულს მოსწონს: მკვეთრი ფერები, პერსონაჟთა მრავალფეროვნება, ალგორითული პასაჟები, იუმორი, ტრაგიკული სიყვარული და ცხადია სიკვდილიც, თუმცა ერთი ნახვის შემდეგ მაინც რჩება ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, თითქოს რეჟისორმა მხოლოდ საკუთარი თავის განმეორება შეძლო და ეკრანზე ჩვეული ემოციის გადმოფრქვევა ვერ მოახერხა.

შეწყვეტილი ამბორი პედრო ალმოდოვარის ერთგვარი ძღვენია ძველი კინემატოგრაფისადმი. რო-



გორც კინომცოდნეები აღნიშნავენ, ეს არის კინო კინოში, რომელიც ზუსტად ისე იწყება, როგორც ფილმის გადაღება - სინჯებით, სადაც პირველივე კადრში ჩნდება დაბნეული, თითქოს სხვა ადგილას აღმოჩენილი პენელოპა კრუსის სახე. ამ ფილმით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ კრუსი დიდი ხანია როგორც მსახიობი შედგა, მსოფლიო დონის ვარსკვლავობას მიაღწია და სამუშაოდ საუკეთესო რეჟისორები იწვევენ, ის პედრო ალმოდოვარისთვის მაინც იმ თიხის გუნდად რჩება, რომლისგანაც ნებისმიერი ემოციის, განცხადისა თუ განწყობის გამოძიება შეიძლება. ამ მხრივ ირონიულად ჩანს ის სცენები, როდესაც პენელოპა კრუსის სამსახიობო გამოცდილების არმქონე პერსონაჟი პირველად აღმოჩნდება კამერის წინ, მაყურებელი კი ამ კადრებს კამერის ობიექტივიდან, რეჟისორის თვალით აკვირდება. ალმოდოვარი თითქოს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მისთვის ნებისმიერი სიმალის მსახიობი მხოლოდ და მხოლოდ მასალაა, რომლისთვისაც ფორმასაც და იდეასაც მხოლოდ თავად იგონებს და ქმნის. ეს არ ეხება მხოლოდ სამსახიობო თამაშს - ალმოდოვარი არც კრუსის გარეგნობაზე ექსპერიმენტებს ერიდება და ფილმის განმავლობაში უბრალო მდინარე ნელ-ნელა ნამდვილ ქალღმერთად აქცევს. ასე ლამაზ პენელოპა კრუსს სხვაგან ვერსად ნახავთ.

პენელოპა კრუსის ლენა ფილმის ცენტრალური ფიგურა და ორმაგი სასიყვარულო სამკუთხედის მთავარი გმირია. ასაკოვანი საყვარლისგან გათავისუფლებაზე მეოცნებე ლენა ფილმის რეჟისორს შეუყ-

ვარდება და სწორედ აქედან იწყება მისი ცხოვრების მთავარი, ფატალური ფინალისთვის გამზადებული ისტორია და სწორედ აქ აწყდება მაყურებელი დაუკმაყოფილებლობის განცდას - არის თუ არა ლენასა და რეჟისორის სიყვარული იმდენად მძაფრი, რომ მისთვის ყველაფრისთვის ხაზის გადასმა, ჩვეულ ცხოვრებაზე უარის თქმა ღირდეს. თუმცა აქვე ალმოდოვარი სამაშველო რგოლს გვიდებს - ეს ხომ კინოა, სადაც ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება, დრო მხოლოდ დამატებით გარემოებაა და რამდენიმე სცენაში გიჟურ სიყვარულში გადაშვება მხოლოდ და მხოლოდ მონტაჟის ამბავია. ფილმი კი ნელ-ნელა იმდენად მეტად ჯდება კინოს კანონების ჩარჩოებში, რომ არც მომდევნო სცენის გამოცნობაა ძნელი და არც ფინალის, რაც სამწუხაროდ ეკრანზე ნანახისგან მიღებულ ემოციას ცრევს.

რთულია ფილმში ჩართვაც. ვიდრე რეჟისორი მთავარ ისტორიაში ამდენ მიჯნა, მაყურებელს თითქმის ნახევარ საათიანი ლოდინი უწევს. ამ დროს ალმოდოვარი პერსონაჟების გაცნობას, მათი კავშირების ძიებას ანდომებს. ეს სცენები თითქოს იმ მოზაიკის ცალკეული ფიგურებია, რომლებმაც საბოლოოდ მთლიანი ამბავი უნდა შეკრას. თუმცა არის სცენები, რომელთა გარეშეც ისტორიას არაფერი დააკლდებოდა და ნებისმიერი ფილმისთვის აუცილებელი დინამიკაც არ დაგვარდებოდა. დინამიკა კი ამ ფილმს აშკარად სჭირდებოდა, თუნდაც იმისთვის, რომ მისაღები ემოციისთვის ერთგვარი ტრამპლინი მოშადებულიყო - ფილმის პირველი მესამედი დაღლილი მაყურებლისთვის ნელ-ნელა სულ უფრო სულერი და ადვილად მისაღები ხდება ეკრანზე ნანახი ლაღატიც, გიჟური სიყვარულიც და სიკვდილიც.

ენდის მაიკლი იყიდა

პოპარტის და პოპმუსიკის მწვერვალები



ეს სურათი წარმოადგენს პოპარტის და პოპმუსიკის შეუდარებელ მეფეთა ტანდემს. აერთიანებს მათ დიდებას. სურათი ხომ მაშინ შეიქმნა, როცა როგორც მაიკლი, ისე ენდი შემოქმედებით მწვერვალებზე იყვნენ. ეს ნამუშევარი ორი დიდი ისტორიის სიმბოლოა. - აღნიშნავს ჯენეტ ლერი, გამოფენისა და აუქციონის ინიციატორი.

შეიქმნა შევასხებთ, რომ ენდი უორპოლის ნამუშევრებისთვის სარეკორდო თანხა გახლავთ 71 მილიონი დოლარი და ის 1963 წელს ქრისტის აუქციონზე გაიღეს ნამუშევრისთვის მწვერვალი ავტომობილის ავარია.


მაიკლ ჯექსონის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ინტერესი მისი უეცარი გარდაცვალების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ გაცხოველებული ინტერესისა და სიყვარულის საზომს კი ნიუ იორკის ახლადდაგეგმილი აუქციონი და უორპოლი ფუნქტებსა და დოლარებში განსაზღვრავენ.

კის შესყიდვის შედეგად, გასული წლის დასაწყისში და შემდგომში მოხდა სს სტანდარტ ბანკის შერწყმა სს კორ ბანკთან. შერწყმულ დაწესებულებას დაერქვა ახალი სახელი - სს კორ სტანდარტ ბანკი.

აქციონერთა და მენეჯმენტის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, საერთაშორისო კონსულტანტების მეთვალყურეობის ქვეშ ბანკის განყოფილებებმა და მენეჯმენტის სტრუქტურამ განიცადა შიდა რეორგანიზაცია. ბანკი, აგრეთვე, მზადაა რამდენიმე ახალი ინიოვაციური პროდუქტისა და მომსახურეობის დასაწერად მომდევნო რამდენიმე კვირაში. ამავდროულად ბანკის საქმიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც აშკარად ჩანს თავისი მთლიანი აქტივების ზრდაში 105%-დან 172%-მდე, ხოლო კლიენტთა დეპოზიტების პორტფელი გაიზარდა მოკლე ვადაში უკანასკნელ ერთ წელზე ცოტა მეტი პერიოდის განმავლობაში.

ბანკი, ბ-ნი ლლონტის ხელმძღვანელობით, კლიენტებს უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურეობით და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სს კორ სტანდარტ ბანკი მადლობას უხდის თავის ძვირფას კლიენტურას მუდმივი მხარდაჭერისა და ერთგულებისათვის, ხოლო ყველა მარეგულირებელ ორგანოს მათ მიერ განეული მხარდაჭერისა და რჩევებისათვის.



31.07.2009
კორ სტანდარტ ბანკი
ინოვაცია, როგორც ტრადიცია!
პრეს რელიზი

სს კორ სტანდარტ ბანკი აცხადებს, რომ 2009 წლის 27 ივლისიდან ბ-ნი გიორგი ლლონტი დაინიშნა ბანკის ახალ დირექტორად, ბანკის ყოფილი დირექტორის, ბ-ნი იმრან ხიზარ ჰაიატის ნაცვლად.
ბ-ნი ლლონტი გააჩნია საბანკო და ფინანსურ ინდუსტრიაში მოღვაწეობის 17 წლიანი გამოცდილება და იგი გახლავთ ცნობილი ფიგურა საბანკო სექტორში. მან თავისი კარიერა დაიწყო 1992 წლიდან, როგორც ეკონომისტმა "იბერია ბანკში", ხოლო 2005 წლის მარტიდან 2008 წლის ნოემბრამდე გახლდათ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. ბოლოს ბ-ნი ლლონტი ხელმძღვანელობდა სახალხო ბანკს გენერალური დირექტორის ამჟამინდელ პოსტზე.
კორ სტანდარტ ბანკი დაარსდა თავდაპირველად სს კორ ბანკის მიერ სს სტანდარტ ბან-

21-ე ეროვნული ბრაზილიური სტარტი

ინცილ აბიოვილი

ფეხბურთში საქართველოს 21-ე ეროვნული ჩემპიონატის სტარტმა პროზაულად და უხმაუროდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. დეზულებში შეტანილი ცვლილებებით, წელს უმაღლეს ლიგაში ათი გუნდი ასპარეზობს. ასე რომ, ტურში ხუთი მატჩი გაიმართება. პირველი ტური ამ თვალსაზრისითაც გამონაკლისი და ნაკლები გამოდგა. ევროსარბიელს შემორჩენილი ერთადერთი ქართული კლუბი თბილისის "დინამო" 6 აგვისტოს ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს ჩაატარებს ბელგრადში ადგილობრივ "ცრენა ზეზდასთან". ჩვენი გუნდი ამ ეტაპის დაძლევის შანსს ინარჩუნებს - თბილისურ შეხვედრაში დინამოელებმა სერბებს ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და პირველი ტურის მატჩი, რომელშიც "დინამოს" "გაგრისთვის" უნდა ემსაბინძა, გადაიდო. მატჩის ჩატარების თარიღი ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

სასტარტო ტურში იყო კიდევ ერთი შეფერხება, რის გამოც ტურის პირველ დღეს, სამი მატჩის ნაცვლად, მხოლოდ ორი ჩატარდა. საქართველოს ჩემპიონს, თბილისის "ვიტ ჯორჯიას", უმაღლესი ლიგის დებიუტანტ "სამტრედიისთვის" 12 აგვისტოს უნდა ემსაბინძა, მაგრამ, პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, ეს თამაში ფინანსური მოტივებით 2 აგვისტოს-

თვის გადაიტანეს. კონკრეტულად, როგორც გაირკვა, "ვიტ ჯორჯიას" სანეგრო თანხა ბოლომდე არ ჰქონდა გადახდილი და ფეხბურთის ლიგამ ამ პროცესის "სტიმულირებისთვის" სწორედ ასეთ ნაბიჯს მიმართა, რაც ეფექტური გამოდგა კიდევ. "ვიტ ჯორჯიამ" 1 აგვისტოს დაფარა დავალიანება და მეორე დღეს ჩაება ეროვნულ ჩემპიონატში, რომელშიც ურთულესი მისია აქვს შესასრულებელი. საუბარია საჩემპიონო ტიტულის დაცვაზე. ცნობილია, რომ ტიტულის მოპოვება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება. თან, გასულ სეზონში "ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთი კონკურენტი ჰყავდა - თბილისის "დინამო". წელს კი უმაღლესი ტიტულის მაძიებელთა რიცხვი, სულ მცირე, გაორმაგდება. დღესვე შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ოთხეული, "ვიტ ჯორჯიას", "დინამოს", "ოლიმპის" და "ზესტაფონის" შემადგენლობით, ისევ სატურნირო ცხრილის პირველ ოთხ სტრიქონს დაიკავენ. თუმცა, როგორი იქნება საბოლოო განლაგება და შეიცვლება თუ არა ის წინა სეზონთან შედარებით, მომდევნო წლის გაზაფხულზე გაირკვევა.

სადებიუტო ტურის პირველ დღეს სენსაციის გარეშე არ ჩაუვლია. იმის ალბათობაც არსებობდა, რომ ორივე მატჩი სენსაციურად დასრულდებოდა, მაგრამ ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, "ატლეტიკო პარანაენსის" პარტნიორმა რუსთავის "ოლიმპმა", სწორედ ამ პარტნიორობის წყალობით, შეძლო არა მხოლოდ მარცხისგან თავის დაღწევა, არამედ პირველი სამი ქულის აღებაც.

ხუთი ბრაზილიელი ფეხბურთე-

ლით გაძლიერებულმა რუსთავის "ოლიმპმა" ჩემპიონატის სასტარტო მატჩი ზუგდიდში, ადგილობრივ "ბაიასთან" ჩაატარა. პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ დადგენილი კალენდრის მიხედვით, ეს შეხვედრა არა ზუგდიდში, არამედ რუსთავში, "ოლიმპის" არენაზე უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ იმის გამო, რომ რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, ლიგის ხელმძღვანელობამ მატჩს მასპინძელი გამოუცვალა და თამაში ზუგდიდში დანიშნა. ზუგდიდური კლუბი, რომელიც წინა სეზონში "მგლების" სახელით ასპარეზობდა, ამჯერად "ბაიას" სახელით წარდგა ქართველი ქომაგის წინაშე. ეს ორი ზუგდიდური კლუბის - "მგლების" და "ბაიას" სინთეზით შექმნილი ახალი გუნდია, რომელმაც სახელი "ბაიასგან" მიიღო. თუმცა, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ამ სახელმაც განიცადოს ტრანსფორმაცია და ზუგდიდი უმაღლეს ლიგაში ქართველი გულშემატკივრისთვის უფრო ნაცნობი სახელით - "ოლიმპით" დაიკვიდრდეს.

ზუგდიდური მატჩი სტუმრების უპირატესობით წარიმართა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ "ოლიმპის" ბრაზილიელი ლეგიონერები. რუსთაველთა ახალმა თავკაცმა ოთარ კორღალიძემ ძირითად შემადგენლობაში ოთხი ბრაზილიელი გამოიყვანა, რომელთაგან თავი გამოიჩინეს ნახევარცენტრალმა ჯერონიმომ და ცენტრფორვარდმა ანდერსონმა. სწორედ მათი კარგი თამაში წყალობით, "ოლიმპმა" სამი ქულა ჩაიწერა. პირველი ტაიმი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა: მე-20 წუთზე "ბაიას" ფეხბურთელების სწრაფი კონტრშეტევა ამ გუნდის ერთ-ერთი

საუკეთესო ფეხბურთელის დავით ქირიას ზუსტი დარტყმით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა პირველ ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ მოახერხეს და ტაიმი მასპინძელთა მინიმალური უპირატესობით დასრულდა. მეორე ნახევარში სტუმართა უპირატესობა აშკარა გახდა. "ბაიას" კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა და ნათელი გახდა, რომ გოლი მხოლოდ დროის ამბავი იყო. 61-ე წუთზე ჯერონიმოს ჩანოვების და თოდუას ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა. რამდენიმე წუთში ანდერსონმა მცირე საფეხბურთო შედეგი შექმნა, როცა, საჯარიმოს მისაღებობთან მახვილი კუთხით მდგომმა, ტექნიკური თვალსაზრისით ურთულესი დარტყმით შორეულ დაბალ კუთხეში დაარტყა ბურთი. დიდი მცდელობის მიუხედავად, მასპინძლებმა მატჩის ბედი ვერ შემოატრიალეს და "ოლიმპს" სამი ქულა გაატანეს.

სენსაცია კი ბოლისში დაფიქსირდა, სადაც ადგილობრივი "სიონის" - 1:4 დამარცხდა გასული სეზონის აუტსაიდერ ცხინვალის "სპარტაკთან". ასევე მოულოდნელი იყო "ლოკომოტივის" მიერ ზესტაფონში აღებული ქულაც.

პირველი ტური

ბაია 1:2 ოლიმპი
სიონი 1:4 სპარტაკი
ვიტ ჯორჯია 2:1 სამტრედია
ზესტაფონი 0:0 ლოკომოტივი

"ჩელსი" პირლოსთვის იბრძვის

ლონდონის ჩელსი" მილანის" ნახევარცენტრალ ანდრეა პიროს შეძენას მცდელობას არ აკლებს. ინგლისური და იტალიური საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ალბიონელებმა აპენინელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა ან 10 მილიონი და თავდამსხმელი კლაუდიო პისარო შესთავაზეს. ადრე მილანის" ვიცი-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ არისტოკრატთა" მიერ 30 წლის ფეხბურთელში შეთავაზებული 7 მილიონი გირვანქა და კლაუდიო პისარო შეეწითელა. ურინთან ბანაკს ხელს არ აძლევს. უკვე გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, პიროს აგენტმა ტულიო ტინტიმ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება გამართა. შეთანხმების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფეხბურთელი ახალ გუნდში წელიწადში, ხელფასის სახით, 4,5 მილიონ გირვანქას მიიღებს. თავის მხრივ, ჩელსისთვის" იტალიელი ნახევარცენტრალის მიყიდვით მიღებული სატრანსფერო თანხა მილანს" სევილიას" ფორვარდის ლუის ფაბიანუს და მადრიდის რეალის" თავდამსხმელის კლას იან ჰუნტელარის შეძენის შანსს მისცემს.

დელ პიეროს ზეიმი "რეალზე"

ტურინის იუვენტუსის" კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ განაცხადა, რომ Peace Cup-ის ტურნირზე მადრიდის რეალზე გამარჯვება მისი გუნდისთვის მორალური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რამაც საკუთარი ძალის რწმენა გააძლიერა. ამ მოგებით არავითარი დიდი ჯილდო არ დაგვისაკუთრება, მაგრამ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ მეთოდსთან მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია", - სამეფო კლუბზე გამარჯვებით გამოხეულებულ სიხარულს ვერ ფარავდა დელ პიერო, რომლის კომენტარი Channel 4-მა გაავრცელა.

გერმანიაში წლის საუკეთესოები გამოვლინდნენ

კიკერმა" გერმანიის სპორტულ ჟურნალისტთა კავშირთან ერთად გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი და მწვრთნელი გამოავლინა. მაგალითად, 50-ე გამოკითხვის შედეგად, გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად განვილი სეზონის ბომბარდირი, ჩემპიონ ვოლფსბურგის" 30 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი გრაფიტე დასახელდა. გრაფიტეს, რომელმაც 2008-09 წლების სეზონში 25 ბუნდესლიგურ მატჩში 28 გოლი გაიტანა, 1042 გამოკითხული ჟურნალისტიდან 331-მა პირველობა მიანიჭა. მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად, ყოფილა შტუტგარტელმა და უკვე მიუხეხის ბაიერნელმა მარიო გომესმა (171) და გრაფიტეს ბოსნიელმა მენყვილემ ედინ ჯეკომ (169) დაიკავეს. წლის საუკეთესო მწვრთნელად კი ვოლფსბურგის" ყოფილი და შალკეს" ახლანდელი თავკაცი ფელიქს მაგათი აირჩა. მან 778 ხმა მიიღო და უდიდესი უპირატესობით სძლია უახლოეს მდევარს - შტუტგარტის" მწვრთნელს მარკუს ბაბელს, რომელიც 65 ჟურნალისტმა საუკეთესოდ აღიარა. მაგათის მესამედ დასდეს ასეთი პატივი. აქამდე ის წლის საუკეთესო მწვრთნელად 2003 და 2005 წლებში დასახელებული იყო.

2007 წლის აგვისტოში გრაფიტე ფრანგული ლე მანიდან" ვოლფსბურგში" სწორედ მაგათის ძალისხმევით გადავიდა.

ყენია დაბიუტოვი გამოირჩა

გერმანიის თასის პირველი რაუნდის შეხვედრაში, რომელშიც გერმანია ვინდეი" და ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას შალკე" ხვდებოდნენ ერთმანეთს, 18 წლის ქართველმა ლეგიონერმა სადებიუტო მატჩში გოლით გამოიჩინა თავი. გელზენკირხენელთა დამრიგებელმა ფელიქს მაგათმა ყენიას მოედანზე მეორე ტაიმის დასაწყისშივე უხმო, მაშინ, როდესაც შალკე 2:0 უგებდა მეტოქეს. 68-ე წუთზე ქართველმა ფეხბურთელმა დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა მარცხენა ფეხით და ეფექტური გოლი გაიტანა. გელზენკირხენელებმა მასპინძლებს მატჩის ბოლომდე კიდევ ერთი გოლი გაუტანეს, 4:0 გაიმარჯვეს და შემდეგ ეტაპზეც გავიდნენ. ყენიასგან განსხვავებით, მოედანზე სათამაშოდ არ გამოსულა ლევან კობიაშვილი.

წარმატებულად დაიწყო სეზონი ალექსანდრე იაშვილის კარლსრუემ. ქართველი ფეხბურთელის გუნდი ბერლინის ბორუსიას" ეწვია და 2:0 გაიმარჯვა. კარლსრუელთა ქართველი კაპიტანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და მაშინდა შეცვალეს, როდესაც შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა გარკვეული იყო. 90-ე წუთზე იაშვილი ხრისანტუმ შეცვალა. კიდევ ერთი ქართველი, რომელმაც გერმანიის თასის მეორე ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, მათე ლეინიანი იქნა. ახალგაზრდა ქართველი მცველის მიუნხენ 1860" სტუმრად პადერბორნს" ეთამაშებოდა და პირველ ტაიმში გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა. ლეინიანიმ მატჩი სრულად ჩაატარა.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აქარებს და პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს "საქლადა"-ს (სს 208142874) კუთვნილი, ს.ს "საქართველოს ბანკის" აქციები.

№	დასახელება	რაოდენობა	ფასი
1	აქცია	63500	1 აქციის ფასი <i>ინტერნეტ გვერდზე - www.londonstockexchange.com 29 ივლისის მდგომარეობით</i> შეადგენს 5.70 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში)

აქციების საბაზრო ფასი განისაზღვრება აუქციონის ჩატარების წინა დღისთვის ინტერნეტ გვერდზე www.londonstockexchange.com დაფიქსირებული საბოლოო ფასით. (ექვივალენტი ლარებში)

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 31 აგვისტოს დღის 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ.წ.8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვადადებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მკაცრებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვადადებულნი აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადებუტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეტანაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში თვითონ გადახდის თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი შედეგით, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვადადებულნი დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალისტადან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მილიონად დაფარვამდე შედეგულს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ქვეაღიანი დანებებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 31 აგვისტომდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

ქართველმა კალოსნებმა ევროპა დაასრულეს

ლანდსკრუნაში (შვედეთი) მიმდინარე ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები სამკაცრიანი შემადგენლობით წარდგა. თავდაპირველად ფიცარნაგზე ირაკლი ცანავა და ნიკოლოზ ნიკლაური (85 კგ.) გავიდნენ, მოგვიანებით კი ესტაფეტა დავით გოგია (105 კგ) ჩაიბარა.

ირაკლი ცანავამ პირველი ატაცი 128 კილოგრამით დაიწყო, შემდეგ კი შტანგა 5-5 კილოგრამით დაამძიმა და ესეც წარმატებით დაძლია. ასევე წარმატებით დაიმორჩილა შტანგა აკვრაშიც. თავდაპირველად 160 და მერე კი 165 კილოგრამი დაძლია. მესამე მცდელობაზე შეკვეთილი 168 კილოგრამი მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. შედეგად ორჭიდის ჯამში 303 კილოგრამით 12 მონაწილეს შორის მეშვიდე ადგილი დაიკავა. ცანავას ორჭიდის ჯამში (290 კგ.) ერთი საფეხურით ჩამორჩა ნიკა ნიკლაური - მერვე ადგილი.

ქართველთაგან საუკეთესო შედეგი დავით გოგიას აღმოაჩნდა. ატაცი 146 კილოგრამით კარგად დაიწყო, მერე კი 151 კილოგრამის ასანეცად ორი ცდა დასჭირდა. მეორე მოძრაობაც კარგად შეასრულა, ოღონდ ამჯერად პირველ და მეორე ცდებზე, როცა 178 და 182 კილოგრამი აკრა. 186 კილოგრამზე კი ხელი მოეცარა და 333 კილოგრამით მეხუთე ადგილი დაიკავა. 105 კილოგრამში სულ ფიცარნაგზე 13 ძალოსანი გავიდა.

ლანდსკრუნა, შვედეთი ევროპის ჩემპიონატი. 85 კგ.

1. ადრიან ზიელინსკი (პოლონეთი) - 362 კგ.
2. აპტი აუხადოვი (რუსეთი) - 347 კგ.
3. ალექსანდარ დიმიტროვი (ბულგარეთი) - 319 კგ.

7. ირაკლი ცანავა (საქართველო) - 303 კგ.

8. ნიკა ნიკლაური (საქართველო) - 290 კგ.

105 კგ.

1. ედუარდ მეფიგოვი (რუსეთი) - 381 კგ.
2. არტურს პლესნიკსი (ლატვია) - 371 კგ.
3. სერგეი ტაგიროვი (უკრაინა) - 370 კგ.

5. დავით გოგია (საქართველო) - 333 კგ.

ჰოლანდია საქართველოსთან იუბილე მოიწყო

ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის მეორე წრის შეხვედრებამდე უტრეხტში (ჰოლანდია) შეკრებაზე მყოფმა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები, პირველის დარად, მეორე ამხანაგურმა მატჩშიც დამარცხდა. წინა შეხვედრისგან განსხვავებით, რომელიც საქართველოს ნაკრებმა - 63:79 დათმო, ამჯერად იგორ კოკოშკოვის გუნდს ბევრად უკეთ უთამაშია. ყოველ შემთხვევაში, ამაში გვარანტებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი. თუმცა, ბოლო წუთებზე ქართველები მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ, ჰოლანდიელებს კი მათთვის საიუბილეო მე-300 გამარჯვება უსახსოვრეს.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მატჩიც ქულა-ქულაში მიდიოდა, მაგრამ ბოლო წუთებზე მასპინძლებმა შესუსტებული შემადგენლობით მოასპარევე ქართველებს 7 ქულით სძლიეს - 81:74. კოკოშკოვის შეგირდებს ტყორცნებში ამჯერადაც არ ნაუვიდათ კარგად საქმე - 36-ორ-ქულიანიდან მიზანს მხოლოდ 16-მა მიაღწია, 26 სამქულიანიდან 10 აღმოჩნდა ზუსტი, 19 საჯარიმოდან კი 12 მოათავსეს კალათში. რაც შეეხება ფარიდან მოხსნებს, აქ საქართველოს ნაკრებმა 31-ჯერ იმარჯვა, ჰოლანდიამ კი - 35-ჯერ.

პირველი მეოთხედი საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებლად მოიგო, თუმცა მეორეში მეტოქე დანინაურდა. ჰოლანდიელებს განსაკუთრებით კარგად გამოსდოდათ ფარქვეშ თამაში. მათი ცენტრები - ვან პასენი და ჰენ ნორელი შედეგიანები იყვნენ. მესამე მეოთხედი ჰოლანდიელებმა 20:14 მოიგეს და დაამყვეტ პერიოდს 7-ქულიანი უპირატესობით შეხვედრენ. ქართველებმა მოახერხეს მეტოქესთან 2 ქულით მიახ-



ქართველთა გარემოცვაში მოქცეულმა ჰოლანდიელმა მე-300 გამარჯვება იუბილა

ლოება, მაგრამ მასპინძელთაგან უმალ სამქულიანი მიიღეს და კონცენტრაცია დაკარგეს. ბოლო მეოთხედის დასაწყისში 5 პერსონალურის გამო მოედანი დატოვა გიორგი შერმადინმა, ხოლო თორნიკე შენგე-

ლიას ფეხი გადაუბრუნდა და თამაში ვეღარ გააგრძელა. ეს კი ისედაც შესუსტებული საქართველოსთვის მეტისმეტად დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. საბოლოოდ ჰოლანდიელებმა 7 ქულით გაიმარჯვეს.

საქართველოს ამ მატჩში ძირითადი ხუთეულის ოთხი მოთამაშე აკლდა - ფაჩულია, ელისი, ციციტაშვილი და მარკოშვილი. რაც შეეხება ატლანტა ჰოუქსის საქართველ ცენტრს ზაზა ფაჩულიას, ის გუნდს 5 აგვისტოს უნდა შეუერთდეს. ესპანური კახასოლის გამთამაშებელ ტაირონ ელისს კი გუშინ ელოდნენ. ჯერჯერობით შენგენის ვიზის მოლოდინშია და თბილისში იმყოფება ფორვარდი ნიკოლოზ ციციტაშვილი, რომელმაც ნიუ იორკ ნიქსის შემადგენლობაში საზაფხულო ლიგაში ითამაშა, ზკ კიევის უკანაბაზელ მანუჩარ მარკოშვილს მტკივანი კოჭი ჯერაც არ მოშუშებია და მოედანზე ამის გამო ვერ გავიდა.

საქართველოს ნაკრები მომდევნო ორ ამხანაგურ მატჩს 7 და 8 აგვისტოს ავსტრიის გუნდთან გადართავს, 13 აგვისტოს თბილისში დაბრუნდება, რასაც ორ დღეში ოფიციალური შეხვედრები მოჰყვება. 15 აგვისტოს კოკოშკოვის შეგირდები ლუქსემბურგის ნაკრებს ხვდებიან, 19 აგვისტოს - ირლანდიას, 22 აგვისტოს თბილისს სლოვაკეთი ენევა, ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში კი 26 აგვისტოს შეედეთს უმასპინძლებენ. ჯგუფური ეტაპის დაძლევის შემთხვევაში, სექტემბერში საქართველოს ნაკრებს პლეი-ოფები ელის.

1 აპრილი. ამხანაგური მატჩი. შტრახტი

ჰოლანდია - საქართველო 81:74 18:25, 18:10, 20:14, 25:25 საქართველო: ცინცაძე (33 წუთი, 18 ქულა, 4 პასი, 5 ჩაჭრა), ტულუში (26 წ. 16 ქ.), სანიკიძე (33 წ. 9 ქ. 6 მ.), ვ. ბოისა (30 წ. 16 ქ. 5 მ.), შერმადინი (22 წ. 4 ქ. 7 მ.), გამყრელიძე (18 წ.), ა. ბოისა (9 წ.), მეტრეველი (11 წ. 5 ქ.), თ. შენგელია (17 წ. 6 ქ. 5 მ.).

შუმახერი ტესტებით კვალიტატი

ბიბისის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არაა გამორიცხული, რომ მიხაელ შუმახერს "ფერარი F60-ის" ერთი დღით ტესტირების უფლება მიეცეს. იმის გამო, რომ, მოქმედი წესების მიხედვით, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გუნდებს ტესტირების უფლება არა აქვთ, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ძველი და თანაც დაქირავებული ბოლიდით გადის მზადებას.

როგორც ინგლისური სააგენტო იტყობინება, ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციამ (FOTA) თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ შუმახერს წლევანდელი ბოლიდის გამოცდის უფლება მიეცეს. მაგრამ ამისთვის FOTA-ს თანხმობა საკმარისი არ არის, რადგან გამონაკლისის დასაშვებად საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) სანქციაა საჭირო.

მაგრამ სანამ ეს მოხდება, გერმანელი პილოტი მუჯელის ტრასაზე დაქირავებული "ფერარი F2007-ით" განარძობს ინდივიდუალურ მზადებას. გუშინ მან 67 წრე გაიარა. პირველი სატესტო დღის განმავლობაში მისი საუკეთესო



მიხაელ შუმახერს მიუქელის ტრასაზე F60-ის ტესტირების უფლება მისცეს

შედეგი წუთი და 23.736 წამი იყო.

"ძალიან მიხარია, რომ ტრასას და-

ვებრუნდი. მართალია, მზადება და- ვინცე ორი წლის წინანდელი და თანაც

დაქირავებული მანქანით, რომელიც GP2-ის სლიკებითაა აღჭურვილი, მაგ-

რამ მაინც კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, ჩემს მიერ ნაჩვენები შედეგების შეფასებას აზრი არა აქვს. სამაგიეროდ, ორი-სამი წრის შემდეგ სტაბილური დრო მქონდა და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ორი-სამი ასეთი ტესტის შემდეგ ვნახავ, როგორი რეაქცია ექნება ამას ჩემს სხეულზე და კუნთებზე", - ამბობს შუმახერი.

გუშინვე "ფერარიმ" დაადასტურა ბიბისის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შუმახერისთვის F60-ით ტესტირების უფლება ითხოვა. FOTA-ს წევრებს საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. სამაგიეროდ, უცნობია, რა რეაქცია ექნებათ "უილიმსსა" და "ფორს ინდიას", რომლებსაც ასოციაციის წევრობა შეჩერებული აქვთ - მათი თანხმობის გარეშე შუმახერი F60-ით ტესტირების უფლებას ვერ მიიღებს.

მერაბ ლორთქიფანიძე <http://formula1ge.blogspot.com/>



შენი ადგილი ინტერნეტში www.myhost.ge

3 თვე უფასო კოსტინგი

☎ 470000
✉ info@myhost.ge

უფასო



საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისა და ქონების საკუთრებაში გაცემაზე

ლოტი N 1

მიწის ნაკვეთის მისამართი - ლოჭინის ხეობის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.19.13.004.003).

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარეგულაციო ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 11 500 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - სარეკრეაციო ზონის ფუნქციით (რზ-3).

აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაცემულია იჯარით 2017 წლის 23 ოქტომბრამდე.

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 13 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 2 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 59 800 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 03 აგვისტოს 11:00 საათიდან 2009 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით 18:00 საათამდე, აუქციონი გაიმართება 2009 წლის 02 სექტემბერს 18:00 საათზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარეგულაციო უფლებით გადაცემის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას" უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
 - ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 - სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;
 - კრების ოქმის (გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის შეძენაზე) დამოწმებული ასლი;
 - "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
 - ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
 - პირადობის მოწმობის ასლი.
- ფიზიკური პირისათვის:**
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
 - ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
 - პირადობის მოწმობის ასლი.

მიწის ნაკვეთზე პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში იხდის საბოლოო თანხას, ხოლო პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონის პირობებით გამოცხადებულ ვადაში შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222;

220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773390.

მიწის ნაკვეთზე სარეგულაციო ფორმით გადასაცემ (იჯარა) მიწის ნაკვეთზე გამარჯვებული პირი გადასახდელ თანხას (ქირას) იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773047.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობები შესაბამისი მიწის ნაკვეთით) გაყიდვიდან აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773313.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773332.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული სხვა მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773344.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ნილის მართვის უფლებით გაცემის აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773231.

ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს:P

მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300

მერიის ს/კ 204521794

მიმღები ქ. თბილისის მერია

ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი

კოდი 220101502.

აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს:

მიმღები: ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო)

საინფორმაციო კოდი: 206160606

ანგარიში: 200122900

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: 220101222

სახაზინო კოდი: 300773282.

დანწილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, უ. შარტავას ქ. N7, ტელ: (832) 37-81-27; (832) 37-83-65.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2009 წლის 29 ივლისს 15 საათზე, ქუთაისში, წერეთლის ქუჩა N 192-ში

ტარდება სააქციო საზოგადოება "ქუთაისის ლითონის ქარხნის" აქციონერთა

საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების 2008 წლის საფინანსო-ეკონომიკური შედეგების განხილვა-დამტკიცება.
2. საზოგადოების დირექტორის ანგარიში 2008 წელს განეული მუშაობის შესახებ.
3. საზოგადოების 2009 წლის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების: მუკუნისა და შაშიანის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 29 მაისს გამოცხადებულ ტენდერზე გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს "დ.ი.ა სერვისი" და 2009 წლის 3 ივლისს გაუფორმდა ხელშეკრულება.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის II კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის II კვარტალში დადებულია 72 ხელშეკრულება. აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა 2 ტენდერი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათაო ოფისის სამშენებლო სამუშაოებისა (მრავალწიანი შესყიდვა) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათაო ოფისის მშენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საზედამხედველო სამუშაოების შესყიდვაზე. საზედამხედველო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი ორჯერ გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად, რის შემდეგაც "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა მისი შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. სათაო ოფისის მშენებლობაზე დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 16524237 ლარი.

ფასთა კოტირების პროცედურების გამოყენებით განხორციელდა 2 შესყიდვა: საქართველოს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის მომსახურების შესყიდვაზე. ფასთა კოტირების საშუალებებით დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 62920.95 ლარი.

საანგარიშო კვარტალში იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 4597629 ლარს. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვებისათვის ფაქტობრივად განეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4016252.27 ლარი.



საქართველოს
განათლების
და მეცნიერების
სამინისტრო

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 21 ივლისს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "საერთაშორისო უნივერსიტეტი მასკისთვის" სახელობის საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა".





საქმე № 2/1660 - 2009

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

23 ივნისი 2009 წელი.

ქ. თბილისი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე დავით ლიბრაძე

მოსარჩელე - სს „ბანკი რესპუბლიკა“

მოპასუხე - ლალი მადრაძე

დავის საგანი - დავალიანების გადახდევინება

განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების საკითხი.

გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

2009 წლის 6 მარტს სს „ბანკი რესპუბლიკა“ სარჩელი აღძრა მოპასუხე ლალი მადრაძის წინააღმდეგ 3 018,40 ლარის საკრედიტო დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით იმაზე მითითებით, რომ 2008 წლის 16 ივლისს სს „ბანკი რესპუბლიკას“ და ლალი მადრაძეს შორის გაფორმდა საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს საკრედიტო ლიმიტის ხდურული ოდენობა განისაზღვრა 3 000 ლარით, კრედიტით და ბარათით სარგებლობის ვადა - 2 წელი. სესხით სარგებლობის პროცენტი წლიური 26%-ის ოდენობით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში, ინტერნეტში გახარჯული თანხებისთვის და დაკავშირებული საკომისიოებისთვის, ხოლო 32%-ის ოდენობით ბანკებსა და ბანკომატებში განადგებული თანხებისთვის და საკომისიოებისთვის, ასევე ბარათის მომსახურების საკომისიოსა და საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების საკომისიოსათვის.

მოსარჩელის განმარტებით, სესხი უნდა დაფარულიყო ექვსი თვის 25 რიცხვში, მაგრამ მოპასუხემ ვერ უსრულებელი სესხის დაფარვა შეთანხმებულ ვადაში. 2009 წლის 27 თებერვლის მდგომარეობით ლ. მადრაძის მტკიცებულ დავალიანება შეადგენს 3 018,40 ლარს, რის გამოც მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეს ბანკის სასარგებლოდ დაეკისროს საკრედიტო დავალიანება - 3 018,40 ლარი, სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ - 100 ლარი და იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი - 500 ლარი.

სარჩელს მტკიცებულების სახით ერთეის სს „ბანკი რესპუბლიკას“ და ლალი მადრაძეს შორის 2008 წლის 16 ივლისს დადებული სესხის ხელშეკრულება, სესხის ამონაწერი და ცნობა დავალიანების შესახებ.

მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე - ქ. თბილისი, ორბეთის ქ. №16, მაგრამ გზავნილი მას ვერ ჩაბარდა და დაბრუნდა წარწერით, რომ, ოჯახის წევრების განმარტებით, ლალი მადრაძე იმყოფება სასღვარეო გარეშე.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე სს „ბანკი რესპუბლიკას“ წარმომადგენელმა ნ. ჯიშკარიანმა იშუამდგომლა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების თაობაზე.

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადვოკატის დასწრე უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიწილოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯაროდ გავრცელება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივად გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“. ვინაიდან აღნიშნული გაზეთი მასობრივად გრცელდება არა მხოლოდ მოპასუხე ლალი მადრაძის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქ. თბილისში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოქვეყნების ხარჯები კი უნდა გაიდოს მოსარჩელე მხარემ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე, 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მიღებულ იქნეს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.
2. ლალი მადრაძეს (დაბ. 13.01.1956წ. პირადი №0102008111), ეცნობოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელმა სს „ბანკი რესპუბლიკას“ სარჩელი მის მიმართ საკრედიტო დავალიანების - 3 018,40 ლარის დაკისრების თაობაზე.

3. ლალი მადრაძეს განემარტოს:

ის ვალდებულია წერილობით ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდო სახელმწიფო შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე მტკიცებულ ფაქტობრივად მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესაბამისად და წარმოადგინოს ის სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) გზავნილის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში. შესაგებელი უნდა უპასუხებდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ვალდებულებებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიერ დადგენილ წესდებებს და წესდებებს.

მოპასუხის წერილობით პასუხში (შესაგებელში) მითითებული უნდა იყოს:

- I.
 - ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი (შესაგებელი).
 - ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევეი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები;
 - გ) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში;
 - დ) თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ეყრდნობა მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;
 - ე) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;
 - ვ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;
 - ზ) არსებობის შემთხვევაში, მოპასუხის შუამდგომლობები:
 - ზ.ა) ხომ არ ექნება აცვილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა.შ;
 - ზ.ბ) ვინ შეიძლება ჩაება პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
 - ზ.გ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;
 - ზ.დ) სხვა სახის შუამდგომლობები;
 - თ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;
 - ი) მოპასუხის მოსაზრება საქმის სუბიორი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.
- II. პასუხს (შესაგებელს) უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.
- III. პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით.
- IV. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაერთოს მასში მითითებული ექვსი მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მითხოვოს გონივრული ვადა.
- V. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს სუბიორი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ამისთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შემთხვევაშიც ეცნობება მხარეებს. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისათვის მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოსმენის მოპასუხის მტკიცებულებათა სასარჩელო მოთხოვნებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.
- VI. მოპასუხეს შეუძლია პასუხის (შესაგებლის) შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა, წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონულ ფორმით ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასწავლებს უკანასკნელი ელექტრონული ფოსტით.
- VII. პასუხს (შესაგებელს) ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.
- VIII. პასუხი (შესაგებელი) და თანდართული დოკუმენტები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენიც მოსარჩელეა.


4. მოპასუხე ლალი მადრაძეს განემარტოს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში, სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს. ამდენად, წერილობითი შესაგებელი სარჩელზე მან სასამართლოში უნდა წარმოადგინოს შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნების მეშვიდე დღიდან 10 დღის ვადაში. ამასთან, მას შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში.

6. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“, რომლის განხორციელებასაც უნდა ხარჯებით დაევალოს მოსარჩელე სს „ბანკი რესპუბლიკას“.

7. სს „ბანკი რესპუბლიკას“ დაევალოს სასამართლოში წარმომადგენელი განიხილოს „24 საათი“, რომელშიც გამოქვეყნდება აღნიშნული განჩინება.

8. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე



დავით ლიბრაძე

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 16 ივლისს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმომადგენელი შპს „ლილა“ - ლილა ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის“ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52. გადწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა“.

განცხადება ღია კონკურსის რატარების შესახებ

ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი

კრედიტი N 3702-GE

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე "ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის" ფარგლებში, იწვევს კვალიფიციურ ადგილობრივ ორგანიზაციებს/ფირმებს, გამოხატონ ინტერესი შემდეგი მომსახურების განსახორციელებლად:

სოციალური მომსახურების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციისა და მონაცემთა არქიტექტურის შემუშავება

მომსახურების მიზანია საკონსულტაციო დახმარება გაეწიოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს (სმს) სოციალური მომსახურების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად. კერძოდ, ტექნიკური დოკუმენტაციისა და მონაცემთა არქიტექტურის მოსამზადებლად. შერჩეულმა ფირმამ სამუშაოს დასრულებისას უნდა წარმოადგინოს შემდეგი:

- XML ფორმატზე დაყრნობით სტანდარტული მონაცემთა მოდელი;
- სტანდარტული მონაცემთა მოდელის მონაცემთა ლექსიკონი;
- ლოგიკურ მონაცემთა მოდელი;
- ფიზიკურ მონაცემთა მოდელი;
- მონაცემთა ლექსიკონი;
- სააგენტოს აპლიკაციებისათვის არსებული სანაცვლოდ ახალი ტექნიკური არქიტექტურის შექმნა;
- ტექნიკური არქიტექტურა მონაცემთა ურთიერთგაცვლისათვის;
- ტექნიკური არქიტექტურა მონაცემების სამართავად.

ფირმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელებაში;
- მსგავსი დავალებების მართვის დადასტურებული ორგანიზაციული შესაძლებლობა;
- დავალების შესასრულებლად შემოთავაზებული ექსპერტების კვალიფიკაცია და გამოცდილება (ძირითადი სამუშაო გუნდი უნდა შედგებოდეს შემდეგი ექსპერტებისაგან: 1. მონაცემთა არქიტექტორი - სტანდარტულ მონაცემთა მოდელის შესაქმნელად; 2. მონაცემთა არქიტექტორი - ძირითადი აპლიკაციებისათვის; 3. ტექნიკური არქიტექტორი). საჭიროებისამებრ ფირმამ უნდა შემოგვთავაზოს დამატებითი სპეციალისტები, რომლებიც დაეხმარებიან ძირითად სამუშაო გუნდს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექსპერტებისადმი:

1. მონაცემთა არქიტექტორი - სტანდარტულ მონაცემთა მოდელის შესაქმნელად

- 7 წლის გამოცდილება მონაცემთა არქიტექტურაში;
- კონცეპტუალური, ლოგიკური და ფიზიკური მონაცემთა მოდელირების გამოცდილება დიდ მონაცემთა ბაზებისათვის;
- პერსონალურ მონაცემთა მოდელირების გამოცდილება;
- სტანდარტულ მონაცემთა მოდელირების გამოცდილება;
- XML & XSL სქემების ზედმინეწით ცოდნა და უნარ-ჩვევები;
- ლიდერობის და მოტივირების უნარი;
- საკონსულტაციო და საპრეზენტაციო (ინფორმაციის მიწოდების) უნარ-ჩვევები;
- ინფორმაციის წარდგენისა და ახსნის უნარი;
- ტექნოლოგიების ცოდნა (e.g. XML, XSD, XSLT, SOA, ESB's)
- იცნობდეს ორგანიზაციის დონეზე მონაცემთა საუკეთესო პრაქტიკას;
- იცნობდეს ორგანიზაციის დონეზე მოდელირების საშუალებებს, როგორცაა: PowerDesigner, ERW, წარმოების არქიტექტურა და ა.შ.
- იცნობდეს დარგში არსებულ მოდელებს და საერთაშორისო სტანდარტებს;
- სასურველია იცნობდეს ტაქსონომიას და ონტოლოგიას;
- იცნობდეს ელ-მართვის ინიციატივებს;
- სასურველია ჰქონდეს MDM-ის გამოცდილება;
- ჰქონდეს UML -ის გამოცდილება.

2. მონაცემთა არქიტექტორი - ძირითადი აპლიკაციებისათვის

- 7 წლის გამოცდილება მონაცემთა არქიტექტურაში;
- კონცეპტუალური, ლოგიკური და ფიზიკური მონაცემთა მოდელირების გამოცდილება დიდი მონაცემთა ბაზებისათვის;
- თანამედროვე ტექნიკით მონაცემთა მოდელირების გამოცდილება, (e.g. sub-typing, generic data models, etc);
- სასურველია MDM-თან მუშაობის გამოცდილება;
- ლიდერობის და მოტივირების უნარი;
- საკონსულტაციო და საპრეზენტაციო (ინფორმაციის მიწოდების) უნარ-ჩვევები;
- ინფორმაციის წარდგენისა და ახსნის უნარი;
- ტექნოლოგიების ცოდნა (e.g. XML, XSD, XSLT, SOA, ESB's)
- იცნობდეს ორგანიზაციის დონეზე მონაცემთა საუკეთესო პრაქტიკას;
- იცნობდეს ორგანიზაციის დონეზე მოდელირების საშუალებებს, როგორცაა: PowerDesigner, ERW, წარმოების არქიტექტურა და ა.შ.
- SQL-ის სრულყოფილი ცოდნა. იცნობდეს ტრიგერებს, შენახვის პროცედურებსა და ა.შ.
- ორგანიზაციის მომსახურების ბაზების გამოცდილება (ESB);
- მოდელირებისა და UML-ის გამოცდილება.

3. ტექნიკური არქიტექტორი:

- 7 წლის გამოცდილება მონაცემთა არქიტექტურაში;
- ქსელური აპლიკაციების განვითარების გამოცდილება, HTML,

CSS, JavaScript, AJAX და ა.შ. ჩათვლით;

- MVC სტილის არქიტექტურის განვითარების გამოცდილება;
- გავრცელებადი/გავრცელებითი არქიტექტურის განვითარების გამოცდილება;
- XML-ის სრულყოფილი ცოდნა;
- ქსელური სერვისებისა და სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურის განვითარების გამოცდილება;
- WS-I -ის საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტების გამოცდილება;
- კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- უნარი გაარკვიოს და გადაჭრას გაურკვევლობები;
- კარგი სალაპარაკო და წერითი უნარ-ჩვევები;
- სასურველია MDM -ის გამოცდილება;
- მოდელირებისა და UML-ის გამოცდილება.

სამუშაოს შესრულების პერიოდი

სამუშაოს დაწყების სავარაუდო თარიღია 2009 წლის 15 სექტემბერი. სამუშაოს სავარაუდო ხანგრძლივობა არის 8 თვე. ხელშეკრულების გავრცელების შესაძლებლობა განიხილება დავალების ხარისხიანად განხორციელებისა და ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის საჭიროების და შესაბამისი ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში.

ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "კონსულტანტთა შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", შესყიდვის მეთოდი - "შერჩევა საკონსულტაციო ფირმის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 2004 წლის გამოშვება (შესწორებულია 2006 წელს).

დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ:

- ინტერესის გამოხატვის წერილი;
- ინფორმაცია ფირმის ძირითადი საქმიანობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია განხორციელებული პროექტების, კონტრაქტორი-ორგანიზაციებისა და ხელშეკრულების ღირებულების შესახებ;
- სულ მცირე ორი დახასიათება წინა კლიენტებისაგან.
- დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ფირმებმა ინტერესის გამოხატვის წერილები ზემოხსენებულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს **2009 წლის 14 აგვისტოს 16 საათისა** შემდეგ მისამართზე:
საკონტაქტო პირი: იანა სამხარაძე, შესყიდვის კოორდინატორი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,
საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ტელ/ფაქსი: +995 (32) 388210, 388220

შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 1 აგვისტოდან აცხადებს ტენდერს ვერტიკალური ბერკეტის გამბრჯენის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ვერტიკალური ბერკეტის გამბრჯენის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი) ლარის** ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და შესაბამისი ნახაზი (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 1 აგვისტოდან 2009 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

ლოტის №	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	ერთ.	რაოდ
1	გამბრჯენი ვერტიკალური ბერკეტის 100.40.030-0 100.40.080-0	ცალი	400

- 3. მიწოდების ადგილი და პირობა: DDP თბილისი;
- 4. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.
- 5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
- 6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

- 1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
- 2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
- 3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

ფიზიკური პირებისათვის :

- 1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
- 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- 3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
- 4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

- 1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)
- 2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ-ს გარეშე**: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
- 3. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71** მაკა ყუყუაშვილი; (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჯანიძე 56-46-96);

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის სახანძრო, სამთო - სამაშველო აღჭურვილობის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი:302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4 მე-2 სართული, ოთახი 202, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. შესყიდვის ობიექტი

№	სახანძრო აღჭურვილობა	რაოდენობა	განზომილება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	მეხანძრის პირადი აღჭურვილობა (ქამარი, ნაჯახი ზუღით, კარაბინი)	5	კომპლ		
2	სახანძრო გამდენი სახელოები დ-51მმ, ლ-20მ, (გამოიყენება საქრობი ნივთიერების მისაწოდებლად (წყალი, ქაფი)	10	ცალი		
3	სახანძრო გამდენი სახელოები დ-77მმ, ლ-20მ, (გამოიყენება საქრობი ნივთიერების მისაწოდებლად (წყალი, ქაფი)	10	ცალი		
4	შემწოვი სახანძრო სახელოები დ-77მმ, ლ-4მ, (გამოიყენება წყლის წყაროდან ტუმბოთი ამოსაქაჩად)	2	ცალი		
5	შემწოვი სახანძრო სახელოები დ-125მმ, ლ-4მ, (გამოიყენება წყლის წყაროდან ტუმბოთი ამოსაქაჩად)	2	ცალი		
6	სახანძრო ლულები დ-51მმ (გამოიყენება სახელოზე ჩასაბმელად წყლის ჭავლის მისაღებად)	2	ცალი		
7	სახანძრო ლულები დ-66მმ (გამოიყენება სახელოზე ჩასაბმელად წყლის ჭავლის მისაღებად)	2	ცალი		
8	საიერიშე სახანძრო კიბე (გამოიყენება სართულზეზა ფანჯრის ღიობებიდან ასავეღებად) ლ-4.1მ, მ-8 კგ	1	ცალი		
9	ჯოხ-კიბე (გამოიყენება დაბალ სიმაღლეზე მისადგომად) ლ-3.1მ, მ-9.6კგ	1	ცალი		
10	სამშობლა გასაშლელი სახანძრო კიბე (გამოიყენება შენობის ფსადზე ოთხ სართულამდე ასასვლელად) ლ-10მ, მ-48.2კგ	1	ცალი		
11	გადასატანი ლაფეტის ლულა (გამოიყენება ძლიერი ავლის მისაღებად)	1	ცალი		
12	განმტოვება სამკაპი (გამოიყენება ძირითადი მაგისტრალიდან მუშა სახელოების გაყვანისათვის)	3	ცალი		
13	ჰიდრანტის სვეტი (გამოიყენება წყალსადენის საქალაქო ქსელიდან წყლის ასაღებად)	1	ცალი		
14	ცეცხლგამძლე თოკი (გამოიყენება ალმოდებული შენობიდან ევაკუაციისათვის)	200	მეტრი		
15	გადამყვანი დ-51/66მმ (გამოიყენება სახელოებზე ლულების მისამაგრებლად)	2	ცალი		
16	გადამყვანი დ-66/77მმ (გამოიყენება სახელოებზე ლულების მისამაგრებლად)	2	ცალი		
17	გადამყვანი დ-51/77მმ (გამოიყენება სახელოებზე ლულების მისამაგრებლად)	2	ცალი		
18	გადასატანი ქაფმწვერი მოწყობილობა (გამოიყენება ჰაერმექანიკური წყალჭაფის მისაღებად)	1	ცალი		
19	საშუალო ჯერადობის გენერატორი - გვ3-600 (გამოიყენება ქაფის მისაწოდებლად)	1	ცალი		
20	მაღალი ჯერადობის ქაფის ლულა (გამოიყენება ჰაერ-მექანიკური ქაფის მისაღებად და გაფლქვეული ჭავლის მისაწოდებლად ფიფქის სახით)	1	ცალი		
21	ჰიდროლევატორი (ცეცქორი) (გამოიყენება სიდრმეტიდან წყლის ამოსაღებად)	1	ცალი		
22	სახანძრო ბარჯი (გამოიყენება კონსტრუქციების გასაშლელად)	2	ცალი		
23	ხელის მაკრატელი იზოლირებული სახელოებით (გამოიყენება ელსადენების გადასაჭრელად)	1	ცალი		
24	ბენზომოტორის ხერხი (გამოიყენება ხის კონსტრუქციების გასაჭრელად)	1	ცალი		
25	ნიჩაბი	2	ცალი		
26	რეზინის ჩეკმები	5	წყილი		
27	რეზინის ხელთათმანები	5	წყილი		
28	სახელოების ქანჩები დ-51მმ	2	ცალი		
29	სახელოების ქანჩები დ-66მმ	2	ცალი		
30	სახელოების ქანჩები დ-77მმ	2	ცალი		
31	სახელოების ქანჩები დ-125მმ	2	ცალი		
32	მეხანძრის სპეც. ტანსაცმელი (გამოიყენება ყოველდღიური მოხმარებისათვის)	6	ცალი		

ლოტი 1

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით

ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5

№	სამთო აღჭურვილობა	რაოდენობა	განზომილება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	ანკერი - კლდეზე მისამაგრებელი სამაგრი მოწყობილობა. წონა 68გრ, 118გრ.	10	ცალი		
2	ანკერის დასარტყმელი (გამოიყენება კლდის გასაბურღად) წონა 198გრ ცვლადი პირებით	1	ცალი		
3	ანკერი ყური. წონა 40გ.	10	ცალი		
4	ზურგანთა სამთო, ზომა 90 ლიტრი, ორგანოფილიბიანი	8	ცალი		
5	კარავი 3 კაციანი მყინვარის ტამბურით, წონა - მაქსიმუმ 4.2კგ, წყალგაუმტარი ძირით	2	ცალი		
6	მატი (ლეიბი), ტემპერატურის გამძლეობა -60º გრადუსი	8	ცალი		
7	წერაყინი თხილამურის ტელესკოპური ჯოხით, წერაყინის პირი - 4მმ, წონა 450გრ	8	ცალი		
8	წერაყინი საცოცი ცვლადი პირით. წონა 590გრ	2	ცალი		
9	წრიაპი 12 კბილიანი (ყინულზე სასიარულო, ბათინკზე მისამაგრებელი) წონა 968გრ	4	წყილი		
10	კლდის პალო (გამოიყენება საყრდენის მოსაწყობად). წონა საშ. 8გრ	5	ცალი		
11	კლდის პალო (გამოიყენება საყრდენის მოსაწყობად). წონა საშ. 90გრ	5	ცალი		
12	ორფენიანი პალო (გამოიყენება საყრდენის მოსაწყობად). წონა საშ. 95გრ	5	ცალი		
13	პალოს ჩაქუჩი (ბინგო), პალოს ამოსაძრობით, სიგრძე 33სმ, წონა 680გრ	1	ცალი		
14	კარაბინი ასიმეტრიული ალუმინის ხრახნიანი ჩამკეტი. წონა 78გრ,	30	ცალი		
15	ჩაფხუტის ფანარი, წონა 78გრ	8	ცალი		
16	ჩაქუჩი (გამოიყენება სპიტისათვის) სახელური ქანჩით 13მმ, ჭანჭიკისათვის. წონა 535გრ.	1	ცალი		
17	სპიტი დამრტყმელი, წონა 208გრ	1	ცალი		
18	სპიტი (საღ კლდეზე საყრდენის მოსაწყობი), წონა 21გრ	20	ცალი		
19	სპიტი ყური ჭანჭიკით. წონა 32გრ	10	ცალი		
20	ნაპარალში ცასადები (ზაკლადკა), წონა 69 გრ	2	კომპლ		
21	თოკი სემი-ტატიური, წონა 1მ 79გრ.	300	მეტრი		
22	თოკი დინამიური, წონა 1მ 68გრ, გარე საფარი - წყალგაუმტარი	100	მეტრი		
23	თოკის შესანახი სპეცნანთა, წონა 1050გრ, წყალგაუმტარი	5	ცალი		
24	კროლი (თოკზე ასასვლელი ხელსაწყო). წონა 130გრ, თოკისთვის.	2	ცალი		
25	ჟუმარი (თოკზე ასასვლელი სახელოიანი ხელსაწყო). წონა 195გრ, თოკისთვის.	2	ცალი		
26	დესანტორი (თოკზე დასაშვები ხელსაწყო) წონა 32გრ	2	ცალი		
27	რვიანი (თოკზე დასაშვები ხელსაწყო) წონა 100გრ,	10	ცალი		
28	გრიგრი რევერსი (თოკზე ასასვლელი, დასაშვები ხელსაწყო) წონა 225გრ.	4	ცალი		
29	კარაბინი ხრახნიანი ჩამკეტი, ალუმინის, ოვალური (გამოიყენება თოკზე სამუშაოდ). წონა 75გრ	10	ცალი		
30	პრიმუსი (გამოიყენება საკვების გასაცხელებლად). წონა 0.29კგ.	2	ცალი		
31	გადაბმული კარაბინები ექსპრესი უხრახნი ალუმინის (გამოიყენება თოკზე სამუშაოდ), წონა 104-109გრ	5	ცალი		
32	რაპიდი ოვალური (გამოიყენება თოკზე სამუშაოდ), წონა 60გრ,	2	ცალი		
33	რაპიდი სამკუთხედი (გამოიყენება თოკზე სამუშაოდ), წონა 150გრ,	2	ცალი		
34	უსაფრთხოების ღვედი საცოცი ქვედა (გამოიყენება თოკზე სამუშაოდ), წონა 510-560გრ,	5	ცალი		
35	უსაფრთხოების ღვედი საცოცი ზედა წელი (გამოიყენება თოკზე სამუშაოდ), წონა 135გრ,	5	ცალი		
36	უსაფრთხოების ღვედი ზედა-ქვედა (გამოიყენება თოკზე სამუშაოს) წონა 2000გრ	10	ცალი		
37	ჩაფხუტი თავის დამცავი, წონა 445გრ.	20	ცალი		
38	პროტექტორი ორმაგი თოკისათვის, მასალა ლითონი, რეგულირებადი.	4	ცალი		
39	გამძლე ქსოვილის პროტექტორი წებოვანი შესაკრავით და მისაბმელით	5	ცალი		
40	ლენტის მოკლე კიბე (გამოიყენება ასასვლელად კლდეზე). წონა 146გრ.	2	ცალი		
41	სლონი (საყრდენი სადგურების მოსაწყობი ლენტა)	20	მეტრი		

ლოტი 2

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით

ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5

№	სამაშველო აღჭურვილობა	რაოდენობა	განზომილება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	სამკუთხედი (გამოიყენება დაზარალებულის სვეტკუცით)	2	ცალი		
2	საკაცე უნივერსალური - KS-009 სიგრძე 1830მმ, სიმაღლე 60მმ, სიგანე 440მმ, ტვირთამწეობა 170კგ, წონა 9 კგ	2	ცალი		
3	ჰიდრაულიკური მოტოპომპა - DSH 20	1	ცალი		
4	ჰიდრაულიკური დომკრეტი - LTR 12/875 EN	1	ცალი		

ლოტი 3

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით

ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5

5	ჰიდრაულიკური მკვნიტარა - LS 530EN	1	ცალი
6	უნივერსალური ბრტყელტუზა - LKS 21EN	1	ცალი
7	მინი მკვნიტარა - LKS 10	1	ცალი
8	პრტყელტუზა - LSP 40EN ჯაჭვები სამაგრი	1	ცალი
9	დომკრატის დასაფიქსირებელი - LRS-C	2	ცალი
10	დომკრატის დასაფიქსირებელი - LRS120	2	ცალი
11	მანქანის დასაფიქსირებელი - LSS	3	კომპლ
12	აირბაკის სამაგრი	2	კომპლ
13	ელ. დრელი აკუმულიატორზე (უნივერსალური)	2	ცალი

ლოტი 7	1	სათვალე (ტაქტიკური ESS) - თვალის დამცავი, შუშა - სპეციალური ცეცხლისა და დარტყმისგან დამცავი, უნდა ქონდეს სპეციალური დარტყმის საწინააღმდეგო შრე.	120	ცალი	წლის 30 სექტემბრის ჩათვლით
ლოტი 8	1	ხელთათმანი ცეცხლგამძლე - გარე შრე კლარის ნახავით, შიგთავსი - გორტექსი.	120	ცალი	

№	სპეც. აღჭურვილობა	რაოდენობა	განზომილება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	სასიგნალო პისტოლეტი	1	ცალი		
2	ვაზნა, ფერი - წითელი	20	ცალი		
3	აკუმულიატორი - AA სიმძლავრე 3000 mah 1.4v	20	ცალი		
4	აკუმულიატორი - AAA სიმძლავრე 3000 mah 1.4v	20	ცალი		
5	აკუმულიატორის დასამუხტი სწრაფდა, მოცულობა 4 ცალი ტიპიტენი - AA/AAA 220V, 12V (ავტომანქანისათვის)	4	ცალი		
6	ზინოკლი 16*50	1	ცალი		
7	სითბური კამერა (ნანგრევებში დაზარალეულის აღმოსაჩენად)	1	ცალი		
8	ვიბრო დეტექტორი (ნანგრევებში დაზარალეულის აღმოსაჩენად)	1	ცალი		
9	სადაზერვო კამერა (ზონდი)	1	ცალი		

№	ნანგრევებზე სამუშაო აღჭურვილობა	რაოდენობა	განზომილება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	სტროპი (გამოიყენება ტვირთის ასაწევად ან გადასადგილებლად) სტანდარტი - CE მასალა - 100% პოლიესტერი, ტვირთამწეობა 2-8 ტონამდე, სიგრძე 2-8 მეტრამდე	5	ცალი		
2	ჯალამზარი ტვირთამწეობა 1600კგ სტანდარტი - CE ლითონის ბაგირის დამეტრი 11.2მ ჯალამზრის წონა - 12კგ, კომპლექტის წონა 35კგ	1	ცალი		
3	ლითონის ბაგირის ბლოკი სტანდარტი - CE ტვირთამწეობა 32 kn ღარის დამეტრი 11მ, წონა 1.2კგ, მასალა - ალუმინი	2	ცალი		
4	ლითონის ბაგირის ბლოკი სტანდარტი - CE ტვირთამწეობა 64 kn ღარის დამეტრი 16მ, წონა 4.8კგ, მასალა - ალუმინი	2	ცალი		
5	ლითონის ბაგირის პროტექტორი სტანდარტი - CE ტვირთამწეობა 16 kn, წონა 4.2კგ, ორმაგი	4	ცალი		
6	შაკალი (მისაბმელი საშუალება) სტანდარტი - CE ტვირთამწეობა 8500კგ, წონა 2.3კგ, დამეტრი 1	6	ცალი		

ლოტი 6	1	ბათინი - ცეცხლგამძლე ტყავისგან დამზადებული, უნდა შესაბამეობდეს საერთაშორისო სტანდარტებს ენ 15090:2006	120	ცალი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5
--------	---	---	-----	------	---------------------------------	---------------------------

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 03 აგვისტოდან იმავე წლის 25 აგვისტოს 11.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 25 აგვისტოს 11.00 საათიდან 13.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 1. იურიდიული პირებისათვის:
 - ა) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
 - ბ) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
 - გ) ცნობა - სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.
 2. ფიზიკური პირებისათვის:
 - ა) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
 - ბ) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
 - გ) ცნობა - სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.
- წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
- პრეტენდენტები ვერ გავლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
- პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
- ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
- დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი
- გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 3%-იანი საგარანტო
- პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინდირა გოგიავა ტელ.: 41-21-48; 899 21-49-59. არჩილ ქავთარაძე 877 53-76-41.

სატენდერო კომისია
 _____ 1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 2 სექტემბერს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქრუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კომერციული საქმიანობისათვის

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა	ფართობი	ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ფასი	“ბე”	ბიჯი
1	ქრუსთავი, მეგობრობის გამზ. მ/ტ	1617	02	04	03	366	16300	6520	1000

აუქციონის პირობები

- მშენებლობის დამთავრება საკუთრების მოწმობის მიღებიდან 2 წლის ვადაში.
- მშენებარე ობიექტის (ობიექტების) ესკიზის წინასწარ შეთანხმება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის სამსახურთან.
- მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის მინიმუმ 1 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის წატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და “ბე”-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის წატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- “ბე”-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

ს.ს. “საქართველოს ბანკი” რუსთავის ფილიალი
 ბ.კ. 220101502

საიდენტიფიკაციო კოდი 216433287
 ა.ნ. №266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).

- მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: 220101222 სახელმწიფო ხაზინა, 200122900 ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282 (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)

- დასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

- სადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე “ბიჯი”-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20

ტელ: (824) 12 12 66

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", მდებარე ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. N15ა, აცხადებს ტენდერს **სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნებლების სანინაჟმდევო საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდების შექენაზე** სამ ლოტად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტებია:
I ლოტი - პირატრონიდული ჯგუფის ინსექტიციდი ულტრამცირემოცულობიანი შესხურების-რეპროტის (ULV) - 3 000 ლიტრი;

II ლოტი - ფოსფორ-ორგანული ჯგუფის ინსექტიციდი ულტრამცირემოცულობიანი შესხურების-რეპროტის - 3 000 ლიტრი

III ლოტი - პირეტროიდული ჯგუფის ინსექტიციდი - 5 000 ლიტრი

1. პრეტენდენტს უფლება აქვს შემოიტანოს სატენდერო წინადადება ერთ ან რამდენიმე ლოტზე. ლოტების მიხედვით შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

2. პრეპარატების მინიმუმის აღზღვი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N82.

3. I, II და III ლოტებით გათვალისწინებული საქონლის მონაწილე უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის განმავლობაში.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ორ ეგზემპლარად (ორიგინალი და ასლი) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 25 აპრილს 13 საათიდან - 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა. IVსართ. ოთახი N21.

5. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 25 აპრილს 15 საათზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არსებობს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა.

